საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი. 2018 წ. №202 (8603) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

2018 წლის 28 ოქტომბერი

საქართველოს ყველა საღი გონების და ღირსეული მოქალაქის გამოცდაა!

ამ არჩევნების შემდეგ ჩვენ **ან წინ ვივლით,** მართალია, ჭაპანწყვეტით, მაგრამ ბევრად უკეთესი მომავლისკენ, **ანდა ისევ უკან, ჯოჯოხეთში აღმოვჩნდებით!**



კახი კავსაძე:

გვეშველება რამე?!

ქართველები ისეთი გენის ვართ, რომ არ გავიწირებით!

რას თვლიან „ქართული ოცნების“ 6-წლიანი მმართველობის მთავარ მიღწევად მსახიობი **კახი კავსაძე** და თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე **ლადო კახაძე**.

— კახი კავსაძე: კონკრეტულ ფაქტებზე არ ვისაუბრებ, არაა საჭირო.

ჟურნალისტი: ბატონო კახი, გვეშველება რამე?

— კახი კავსაძე: „გვეშველება რამე თუ არა? კი გვეშველება. ერთს ვიტყვი, რომ ნამდვილად გვეშველება. ქართველები ისეთი გენის ვართ, რომ საბოლოოდ არ გავიწირებით. ყველა სიტუაციიდან გამოსვლას მოვახერხებთ“.

კახი კავსაძისგან განსხვავებით აღნიშნულ თემაზე საუბარი არ გაუჭირდა თბილისის საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს, ექიმ ***ლადო კახაძეს:***

„პირველ რიგში აღსანიშნავია საგარეო პოლიტიკაში სტაბილურობის შეგრძნება. რეიტინგებს რომ ვუყურებ, მსოფლიო გამოკითხვებში წინსვლა გვაქვს, ამის დაკარგვა არ შეიძლება. აუცილებლად უნდა აღვნიშნო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც იმასთან შედარებით რაც იყო, გაცილებით უკეთესია თუმცა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ამის გარდა, რადიკალურად არის ვითარება შეცვლილი პენიტენციურ დაწესებულებებში. ადამიანები სასჯელს იხდიან თუმცა, მათ ღირსებას არავინ ეხება. ძალიან მომწონს ის, რომ ციხეებში საგანმანათლებლო სისტემა ამოქმედდა და დასვენების სივრცეები მოეწყო, — განმარტავს ლადო კახაძე.

მისივე თქმით, საქართველო სხვადასხვა მიმართულებით არის დაწინაურებული და განვითარების ეტაპი ჯერ კიდევ გრძელდება.

„უნდა აღინიშნოს სასამართლო სისტემა, რომლის რეფორმა და განვითარება ამ დრომდე გრძელდება მაგრამ, ბევრი რამ მაინც დასახვეწია. ვფიქრობ, რომ ადამიანს დღეს საკუთარი თავის დაცვა შეუძლია.

დღეს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილია ჩვენი საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა: ეს იქნება ლიტერატურა, ხელოვნება, სპორტი თუ სხვა სფერო. ჩემი აზრით, ყველაფერი ნელ-ნელა გამოსწორდება. ძნელია, ოპერაციის შემდეგ უცებ ფეხზე დადგე, საოპერაციოდან პირდაპირ ქუჩაში არ გიშვებენ; აუცილებელია რეაბილიტაციის გავლა და ჩვენ ქვეყანას კი ბევრი ჭრილობა აქვს სარეაბილიტაციო“, — აცხადებს ლადო კახაძე.

იმის გათვალისწინებით, რომ კახიძე საკრებულოს თავმჯდომარე იყო, ჩვენ მას კითხვა ქალაქის განვითარების გეგმაზეც დავუსვით. პოლიტიკოსი ახალ გენგეგმას იცნობს და აღნიშნავს, რომ ნორმატიული აქტის სუსტი წერტილები მუშაობის პროცესში გამოჩნდება:

„ქალაქის განვითარების გენგეგმა 2000 წელს ამოიწურა. მე ეს ზუსტად ვიცი, რადგან მაშინ საკრებულოში ვიყავი. ჩვენს პერიოდში ძალიან ბევრი ლაფსუსი და ჩავარდნა იყო იმიტომ, რომ კანონი აღარ მოქმედებდა. თვითნებური მშენებლობები, მიწების არასწორი გაყიდვა... ეს ახლა არ არის, ჩვენს პერიოდში კი იყო. ამ ყველაფერს გამოსწორება სჭირდება, მაგრამ ნგრევით არა. გენგეგმა უნდა იყოს გაშალაშინებული სახელმწიფო დოკუმენტი, სწორად გათვლილი პერსპექტივაზე, საინვესტიციო გარემოს სწორად შექმნაზე, კოეფიციენტის პატივისცემაზე. მიღებულ ნორმატიულ აქტს პრაქტიკულ საქმიანობაში გახედვნა სჭირდება. შეიძლება მუშა პროცესში ლაფსუსი აღმოჩნდეს მაგრამ, დოკუმენტის სრულყოფა ყოველთვის შესაძლებელია“, — აღნიშნავს კახაძე.

„კომერსანტი“

ხათუნა ლაგაზიძე:

③

ზურაბიშვილის პრეზიდენტად გაყვანა „ქართულ ოცნებას“ შეიძლება, ხელისუფლების დაკარგვად დაუჯდეს!

ფედერიკა მოგერინი: სადაც საქართველოა საპატიო სტუმრის რანგში, სწორედ იქ არის ევროკავშირის ადგილიც

— ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ძალიან გულწრფელი მინდა ვიყო. ყოველთვის ასეთი ვარ, მაგრამ დღეს განსაკუთრებით, რადგან გულითადი სათქმელი მინდა გაგანდოთ. როდესაც მოსაწვევი მივიღე, გავიფიქრე — რამხელა პატივი მარგო განგებამ. მაგრამ შემდეგ დავფიქრდი, რატომ მე და ორი მიზეზი ვიპოვე პასუხად. ორივე აშკარა და ცხადია. პირველი ის გახლავთ, რომ სადაც საქართველოა საპატიო სტუმ-

რის რანგში, სწორედ იქ არის ევროკავშირის ადგილიც.

მეორე ის გახლავთ, რომ სადაც ადამიანის უფლებებს ზეიმობენ, წარმოაჩენენ ან იცავენ, სწორედ იქ უნდა იყოს ევროკავშირი“, — განაცხადა ფედერიკა მოგერინიმ.

იხ. 8 გვ.

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

თეიმურაზ ჯანელიძე

⑦



...როცა ქალი პატრონს ვერ სცნობს!

ეს შედეგი საქართველოს დელეგაციის გამარჯვებაა

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მწვავე დებატების ფონზე წარიმართა იმ რეზოლუციის პროექტის განხილვა, რომელიც რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების აღდგენას უზრუნველყოფდა.

„ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE) იხილავდა ძალიან მნიშვნელოვან, ჩვენთვის ძალიან არსებით და მტკივნეულ საკითხს, რომელიც რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების აღდგენას უზრუნველყოფდა. ის შედეგი, რომელიც დადგა, არის დიდი გამარჯვება საქართველოსთვის, უკრაინისთვის და ყველა იმ დელეგაციისთვის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ამ პროექტს.

მოხარული ვარ, რომ ჩვენი დელეგაციის აქტიურმა მუშაობამ ხელი შეუწყო იმას, რომ მომხსენებელმა ანგარიში კომიტეტის სხდომაზე თავად გაიწვია. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი ერთი წლის განმავლობაში ეს პროექტი საპარლამენტო ასამბლეის განსახილველ საკითხთა სიას აღარ დაუბრუნდება“, — განაცხადა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ.

ქართველი მეხანძრე-მაშველები სერბეთში

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები სერბეთში, NATO-ს EARDCC-ის შედეგების მართვის ფართომასშტაბიან სწავლებაში მონაწილეობენ.

უწყების ინფორმაციით, „SRBIJA 2018“-ის სწავლების გახსნის ცერემონიას NATO-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი და სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრ ვუჩიჩი დაესწრნენ.

იენს სტოლტენბერგი ქართველ მეხანძრე-მაშველებს მიესალმა და წარმატებები უსურვა. ფართომასშტაბიან სწავლებაში ჩართულია NATO-ს 29 მოკავშირე ქვეყნის 170 წარმომადგენელი. სწავლების მიზანია ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება, მათ შორის, სასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის შესაბამისი კოორდინაციისა და თანამშრომლობის პრაქტიკაში გავარჯიშება.

36 წელი არ ვიყავი ნამყოფი საქართველოში, მაგრამ... შევინარჩუნე ქართული ენა!

ამის შესახებ დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფო ენის ცოდნა ყველა მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია.

„მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ როცა დასრულდება ჩემი ექვსწლიანი მანდატი, აქ ჩამოვალ და ქართულად გესაუბრებით, არა იმიტომ, რომ არ უნდა გქონდეთ განსხვავებული ენა, ყველა ენა, რომელზეც საქართველოში საუბრობენ, არის დასაცავი და ყველა იქნება დაცული პრეზიდენტის მიერ. ვინ თუ არა მე, უნდა ვიყო ენის და იდენტობის დამცველი. გავიზარდე საფრანგეთში, 36 წელი არ ვიყავი ნამყოფი საქართველოში, მაგრამ შევინარჩუნე ქართული ენა. ყველა, ვინც აქ არის, ან აზერბაიჯანული ან სომხური წარმოშობის, ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ თავის შვილებს თავისი ენა ასწავლოს, მაგრამ, ამავდროულად, ჩვენ ყველანი ვართ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები და გვინდა, რომ ამ სახელმწიფოში ჩვენს შვილებს ჰქონდეთ მომავალი. მომავლის გზა არის სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნა, რომელიც ყველა გზას ხსნის წარმატებისთვის, სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობისთვის, უცხოეთში და სრული ინტეგრაციისთვის. ინტეგრაცია ნიშნავს თანასწორობას, სრულ თანასწორობას. მე სწორედ ეს ვისწავლე საფრანგეთში, თუმცა ქართული ენით, ტრადიციებით და ოჯახით გავიზარდე. ეს არის თანასწორობა, რომელსაც გთავაზობთ და ამისთვის სახელმწიფომ უნდა გააკეთოს ბევრად მეტი, რომ ქართული ენა თქვენთვის იყოს ადვილი შესასწავლი და ადვილად ხელმისაწვდომი. მე, ვიქნები ის პრეზიდენტი, რომელიც ამ საკითხს დაიცავს და მიხედავს. სწორედ ეს არის ის ბალანსი, თანასწორობა და ტოლერანტობა, რომელიც ამ ქვეყნისთვის არის მთავარი ძალა“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ზურაბიშვილმა იცის, როგორ გააერთიანოს დაპირისპირებული ადამიანები

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ მარნეულში დამოუკიდებელი საპრეზიდენტო კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ზურაბიშვილმა იცის, თუ როგორ შეინარჩუნოს და როგორ გააერთიანოს ადამიანები, რომლებიც დღეს გარკვეული პოლიტიკური ნიშნით არიან ერთმანეთთან დაპირისპირებულები

მან ასევე აღნიშნა, რომ ამომრჩევლებმა არჩევანი უნდა გააკეთონ ორ მოცემულობას შორის — დესტაბილიზაცია თუ სტაბილურობა, შვილების მომავალი თუ მათი ცხოვრება არეულ ქვეყანაში.

„ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი იმ ორ ძალას შორის, რომელიც დღეს საქართველოში ერთმანეთს უპირისპირდება მთავარი პრინციპის გამო, ეს არის ადამიანის უფლებები. დარწმუნებული ვარ, მარნეულის რაიონის, ისევე როგორც მთელი რეგიონის მოსახლეობა, ძალიან სიღრმისეულად გააანალიზებს შექმნილ ვითარებას არამარტო საქართველოში, არამედ საერთოდ რეგიონში, მსოფლიოში და მიხვდება, თუ ვის უნდა დაუჭიროს მხარი — ერთად საქართველოსთვის, ავირჩიოთ სალომე ზურაბიშვილი“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

პრინციპულობა!.. როცა საქმე სახელმწიფო ენას ეხება

სალომე ზურაბიშვილი არის განსაკუთრებით პრინციპული, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო ენას — განაცხადა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა მარნეულში ამომრჩეველთან შეხვედრაზე.

„ქალბატონი სალომე გახლდათ ჩვენი კომიტეტის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრი ბოლო ორი წლის განმავლობაში და მინდა, დაგიდასტუროთ, რომ ის არის განსაკუთრებით პრინციპული, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო ენას.

ასევე, ჩვენი ეროვნული უმცირესობების უფლებებს და საქართველოს მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. მისი პრინციპულობა ჩვენთვის ადრეც იყო ცნობილი, როდესაც ის გახლდათ პირველი, რომელიც პრაქტიკულად, აკრიტიკებდა უსამართლო რეჟიმს ჩვენს უახლოეს წარსულში. მე დიდი სიამოვნებით ვუერთდები ქალბატონი სალომეს კამპანიას, მხარდაჭერას და დარწმუნებული ვარ, რომ ქალბატონი სალომე გახდება ჩვენი საზოგადოების გამაერთიანებელი პრეზიდენტი. მან უკვე გააერთიანა ჩვენი დიასპორა, როდესაც მისი დიდი ძალისხმევით საქართველოს კონსტიტუციაში გაკეთდა ჩანაწერი, — განაცხადა მარიამ ჯაშმა.

შემოწირულობის სახით — 1 მილიონ 620 ათასი ლარი

1 აგვისტოდან 8 ოქტომბრის ჩათვლით საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა 80 პირისგან შემოწირულების სახით 1 მილიონ 620 ათასი ლარი მიიღო, — ამის შესახებ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ავრცელებს. არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, ზურაბიშვილის დონორთა 45% (36 პირი) წინა წლებში „ქართული ოცნების“ შემომწირველი იყო. აღნიშნულმა 36 პირმა მთლიანობაში ზურაბიშვილს 981 ათასი ლარი შესწირა, რაც სულ მის მიერ მიღებული შემოწირულების 65%-ს წარმოადგენს.

◎ ცხელ კვალზე — ცივი გულით

გაუმჭვირვალე გამჭვირვალობა

ბუკიას ბალში მოსმენილი რამდენიმე დიალოგი

— არა, რატომ გაუკვირდათ ნეოფაშისტებს, რომ საქართველოში ფაშიზმის აჩრდილი აფუთფუთდა?

— თუ არა ფაშისტობა, სხვაგვარად როგორ შეიძლება ავხსნათ ვირთხისებრთა ოჯახის წარმომადგენლის ნიკოლოზა გვარამიას „ფილოსოფია“.

— სხვა რომ ვერაფერი გამოუძებნა ზურაბიშვილის ქალს, სამშობლოს ღალატი დააბრალა.

— არა, ღალატიც არის და ღალატიც. ისე, როდიდან გახდა სიმართლის თქმა ღალატი, რა თქვა ტყუილი სალომემ? განა მართლა გიჟმა სააკაშვილმა არ ატეხა ომი? მე თვითონ შევესწარი 7 აგვისტოს, გათენებისას, სწორედ სააკაშვილის ბრძანებით დაუშინეს ცეცხლი მძინარე ცხინვალს. როდიდან გახდა სააკაშვილი საქართველო ან ქართველი ხალხი? ამას რა ლარი და ხაზი უნდა, რომ სააკაშვილია თავის უგულავებთან, ბოკერიებთან, ბარამიძეებთან და მერაბიშვილებთან ერთად ოსებთან ომის დამწყები.

— თურმე სააკაშვილზე რომ იტყვი, ომი მაგან დაიწყოო, ეს იგივე საქართველოს ნიშნავს.

— სხვა რა გზა აქვს სააკაშვილის მონას, ხომ უნდა დაიცვას თავისი ჰალსტუხიჭამია ამირსპასალარი!

— თუ არა ფაშისტი და მართლაც „პუჭურა“ ჰებელსი, გვარამიას გარდა, ვინ იტყოდა, რომ ყველანი სამშობლოს მოღალატენი ვყოფილვართ, ვინც სალომეს კანდიდატურას ვუჭერთ მხარს.

— მარტო მოღალატენი კი არა, ათასი უბედურება თქვა, საქართველოდან გასაყრელები ვყოფილვართ, ვისაც ვაშაძის ან ბაქრაძის არჩევა არ გვინდა პრეზიდენტად.

— მე რომ მკითხო, მართლა ხომ არ აჯობებდა, რომ ვაშაძე და ბაქრაძე ერთად აგვერჩია, ჯერ ერთი, საქართველოს ერთდროულად ორი პრეზიდენტი ეყოლება, თანაც კიდევ პენსია უკვე 450 ლარამდე გაგვეზრდება.

— ეგ ნამდვილად კარგი აზრი მოგსვლია, ძმაო. სხვანაირად ჩვენი საშველი არ ჩანს...

* * *

— ნახე პატარა ფაშისტის გაბუნიას „არჩევანი“? ისიც ხომ ნახე, რა დღეში იყვნენ ეგრეთ წოდებული არასამთავრობოები. არც ერთს სიტყვა არ დასცდენია გვარამიას მართლაც ფაშისტური განცხადების შესაფასებლად. გიგაურმა კიდევ ერთხელ გაიმჭვირვალა საკუთარი თავი, ნანუაშვილის სისხლხორცეულმა მემკვიდრემ ლომჯარიამ გაუმჭვირვალე გამჭვირვალობით გამოიდო თავი და სიმართლის დაცვის მაგივრად ისევ გვარამიას და არასამთავრობოების დასაცავად იჭიკჭიკა. ისე, ვის მოუვიდა თავში ამ ქალაჯუნას სახალხო დამცველად დანიშვნა, საქართველოში მეტი ვერავინ ნახეს ამ ნაციონალების მოკლე კუდის მეტი?!

— საერთოდ ვისი და რისი დამცველია ეს ლომჯარია?

— ვაი სალომეს, რომ სალომჯარიე გახდა!

— მშვენიერაძემ (აფსუს რა გვარს აფუჭებს!) ხომ, როგორც ყოველთვის, კიდევ ერთხელ დაიმსახურა მედალი — „ვიბრძვი ნაციონალების გასამარჯვებლად“.

* * *

— ნუთუ ვერ ხედავთ, ხალხო, რა ომი აქვთ გაჩაღებული ნაციონალებს ხელისუფლებაში მოსასვლელად?!

— ცოტა არითმეტიკულად თუ წავუმსჯელებთ, ალბათ, ასეთ სურათს მივიღებათ: „ცრუსთავი-2“+„კავკასია“+არასამთავრობოები+ბოკერია+ვაშაძე+მეორე ვაშაძე+მელია+ბაქრაძე+შარაშენიძე (თორნიკე, აბა რა!)+პოლიტიკურად გახუხული ხუხაშვილი... ყველას რა ჩამოთვლის... უდრის ევროპაში გადახვეწილ სააკაშვილს, რომელსაც ერთი სული აქვს, საქართველოში დაბრუნდეს და, როგორც მსჯავრდებული, მატროსოვზე „ინებივროს“...

— „წინ, ევროპის გასაოცებლად ქართული დემოკრატიის შესაქმნელად!“

— თუ ამ რამდენიმე დიალოგს შევაჯამებთ, ნათელია, რომ ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამნაშავე ნეოფაშისტ ნაციონალებს ნებსით თუ უნებლიეთ ისე არავინ ეხმარება ბოროტი მიზნების განსახორციელებლად, როგორც თვითონ „ოცნების“ ლიბერალურ-დემოკრატიულ ზღვაში მცურავი ისევ ნაციონალთა სასარგებლოდ კომპასმოშლილი „ქართული-ნაციონალური ოცნება“!..

ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

ხათუნა ლაგაზიძე:

ზურაბიშვილის პრეზიდენტად გაყვანა „ქართულ ოცნებას“ შეიძლება, ხელისუფლების დაკარგვად დაუჯდეს!

— ძალიან მაღალი ალბათობით „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი შეიძლება იძულებული გახდნენ, 2019 წელს დანიშნონ ვადამდელი არჩევნები, — აცხადებს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ხათუნა ლაგაზიძე,** რომლის აზრითაც, „ქართული ოცნების“ დნობადი რეიტინგი 2 წელს ვერ გაქაჩავს. ამიტომ, ლაგაზიძე ფიქრობს, რომ ივანიშვილი პროცესებს დაასწრებს და ამით დროს მოიგებს.

დღეს ხათუნა ლაგაზიძე გვესაუბრება.

— საპრეზიდენტო არჩევნები მწვავე, პიროვნული დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს, მეტიც, პარლამენტის თავმჯდომარემ ოპონენტებს ფაშისტები უწოდა. ამ ვითარებაში რამდენად სწორი აქცენტი გააკეთა დავით უსუფაშვილმა, როდესაც პრეზიდენტს მიმართა, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და გადადოს საპრეზიდენტო არჩევნები?

—ეს დაპირისპირება მართლაც, რომ პიკს აღწევს და საზოგადოების ნერვების ხარჯზე ხდება. ამ ვითარებაში ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გარანტი დავით უსუფაშვილის არჩევა იქნებოდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ უსუფაშვილს აქვს საზოგადოების გაერთიანების რესურსი?

— თუ ვინმეს აქვს გაერთიანების რესურსი, ეს არის უსუფაშვილი. კახი კალაძის განცხადებას ვკითხულობდი, „ქართული ოცნება“ საბოლოოდ მაინც გააერთიანებს საზოგადოებასო. ერთადერთი, ვისაც არჩევნებში მონაწილეთაგან ეს რესურსი აქვს, ნამდვილად არის დავით უსუფაშვილი.

პირველად თქვენთან ვამბობ ამას — მომავალი 2019 და 2020 წლები ამის მნიშვნელობას დაადასტურებს: ხელისუფლებამ თავად თქვა უარი პროცესების მშვიდობიან განვითარებაზე, როდესაც დავით უსუფაშვილის კანდიდატურას არ დაუჭირა მხარი. ეს სიტყვები გაიხსენეთ 2019 და 2020 წლებში. იმაზე მწყდება გული, რომ ისევ ერთი ორომტრიალი უნდა გამოიაროს საზოგადოებამ, თორემ ხელისუფლება რასაც მიიღებს, აბსოლუტურად დამსახურებულად მიიღებს.

5 წელი ვამბობდი იმას, რომ ეს ხელისუფლება მანამ იქნება მყარად, სანამ მას კიდევ აქვს საზოგადოების მოსმენის უნარი; საზოგადოების განწყობის გაგების და საზოგადოების მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირების უნარი. საზოგადოების ყველა მწვავე მოთხოვნაზე „ქართული ოცნება“ დადებითად რეაგირებდა და ამითი განსხვავდებოდა ის „ნაციონალური მოძრაობისგან“. დღეს საკუთარ საზოგადოებას ხელისუფლება ჯიბრში ჩაუდგა.

— რას გულისხმობთ, საიდან ჩანს, რომ ჯიბრში უდგას საკუთარ საზოგადოებას?

— ზოგადად, ზურაბიშვილის ფენომენი არის ძალიან საინტერესო. არ გავამახვილებ ყურადღებას მის განცხადებებზე, ვის უპირისპირდება და ვის არა. ეს ყველაფერი არის ზედნაშენი. მთავარი ის არის, რომ ამ ქალბატონისთვის ის ამომრჩეველი, რომელიც 28 ოქტომბერს საარჩევნო უბანთან უნდა მივიდეს და ხმა მისცეს, მისთვის სრულიად უცხოა.

გაუცხოებაა სალომე ზურაბიშვილსა და საქართველოს მოსახლეობას შორის. პირდაპირ განაცხადა, პრეზიდენტი ხალხთან უნდა იყოსო, მაგრამ მაინც ზემოთ უნდა იყოსო. ეს არის მისი ხალხთან გაუცხოების მიზეზი და მისი პრობლემების სათავე. დანარჩენი განცხადებები ზედნაშენია. ეს მიუღებლობა და აგრესია იმან დაბადა, რომ ამ საზოგადოებისთვის სალომე დღემდე უცხო სხეულია. სანამ სალომეს თავის მართლების პოზიციაში ჩააგდებდნენ, მისი კამპანიის მთავარი მესიჯი დაახლოებით შემდეგი უნდა ყოფილიყო: „გინდათ ევროპა? აგერ არის: თავისი პრაგმატიზმით, რაციონალიზმით, ულმობელი, მაგრამ წარმატების მომტანი შრომით, შეიძლება თქვენთვის ჯერ კიდევ უცხო, მაგრამ — წარმატებული“. უნდა დაესწროთ და მანამდე უნდა დაეწყოთ ეს კამპანია, სანამ ამ ქალს ლაფში ამოსვრიდნენ! გამაოგნებელია „ოცნების“ საპრეზიდენტო პიარ-ტაქტიკა, მაგრამ ახსნადი — რეიტინგული სალომე მგონი თავად „ოცნებას“ არ აწყობს.

— სალომე ზურაბიშვილი არც განიხილავს მეორე ტურს, დარწმუნებულია, რომ პირველ ტურში გახდება პრეზიდენტი. ამის მიუხედავად თქვენ ამბობთ, რომ საზოგადოებაში არის გაუცხოება. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ მიიღო ქართველმა საზოგადოებამ ზურაბიშვილის ფიგურა?

— იმიტომ, რომ ზურაბიშვილს არ უცდია. ის ყოველთვის ზემოდან უყურებდა საზოგადოებას და ამიტომ არის დარწმუნებული, რომ პირველ ტურში გავა. ის დარწმუნებულია, რომ ამ საზოგადოებას ხელისუფლება მიიყვანს საარჩევნო ყუთებთან, ხმას მიაცემინებს სალომე ზურაბიშვილისთვის და ის გახდება ამ აპათიურ მოქალაქეთა ერთობის პრეზიდენტი. ასეთი წარმოდგენა აქვს სალომე ზურაბიშვილს საკუთარ ხალხზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია, სალომე ზურაბიშვილი ვერ გრძნობდეს ამ საზოგადოების განწყობას.

— კულუარებში არსებული ინფორმაციით ზურაბიშვილის კანდიდატურა დღემდე არის დაპირისპირების მიზეზი მმართველ გუნდში...

— შეხედეთ, რა ტანჯული ღიმილი აწერიათ ამ ლიდერებს სახეებზე, როცა ზურაბიშვილს დაჰყვებიან შეხვედრაზე. ნებისმიერი სხეულის ენის სპეციალისტი დასვით და ზუსტ დიაგნოზს დაგისვამთ — რა იკითხება ამ ტანჯული ღიმილის უკან. იმიტომ, რომ ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც პარტიის მაღალ რეიტინგს კანდიდატის მაღალი რეიტინგი შეუძლია გაქაჩოს. ხელისუფლების რეიტინგი არ არის ისეთი მაღალი, რომ ასეთი მოკრძალებული რეიტინგის სალომე ზურაბიშვილი გადაარჩინოს. გაყვანით შეიძლება გაიყვანონ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ეს საკუთარი იმიჯის ნგრევის ფასად დაუჯდება.

ძალიან მძიმე ფაზაში შევდივართ. ვგულისხმობ 2020 წლის არჩევნებს. ძალიან მაღალი ალბათობით „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი შეიძლება იძულებული გახდნენ, 2019 წელს დანიშნონ ვადამდელი არჩევნები. იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ დნობადი რეიტინგი 2 წელს კიდევ ვერ გაქაჩავს. უბრალოდ დაასწრებს ამ პროცესებს და სანამ საზოგადოებაში პოლიტიკური თუ სამოქალაქო აქტივობა წამოყოფს თავს, მანამდე დრო მოიგონ.

— „ქართული ოცნების“ რეიტინგის ვარდნა ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე ზურაბიშვილის კანდიდატურას წამოაყენებდა და ეს არ არის ახალი პრობლემა. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ დგამს საპასუხო ნაბიჯს ხელისუფლება, ამის რესურსი არა აქვს?

— რას ნიშნავს, არა აქვს? დავით უსუფაშვილის მხარდაჭერა არ შეეძლო? ეს არის კაცი, რომელიც მათ საბედისწერო შეცდომისგან დააზღვევდა. ადამიანებს თვითგადარჩენის ინსტიქტი ძალიან მაღალ დონეზე აქვთ. აბა შეხედეთ: „ოცნების“ დეპუტატების ახალი თაობა, 2-3 ლიდერს თუ არ ჩავთვლით, რომლებიც იძულებული არიან, ზურაბიშვილის გვერდით იყვნენ შეხვედრიდან შეხვედრამდე, რა სიმწრით გაღიმებული სახეები აქვთ. დანარჩენ დეპუტატებს დაკვირვებიხართ, ხმას რომ იღებდნენ? არავინ არ იღებს ხმას, არ უნდათ ზურაბიშვილთან ასოციირება.

ამ შემთხვევაში, უსუფაშვილს შეეძლო მათი გადაზღვევა, როგორც საგარეო, ასევე პარტნიორებთან ურთიერთობის კუთხით, ასევე ქვეყნის შიგნით, იმაზე აპელირებენ, რომ უსუფაშვილს მაღალი რეიტინგი არა აქვსო, სხვებს ხომ იმხელა აქვთ, რომ ნუ იტყვი.

— ფიქრობთ, რომ ივანიშვილი 2019 წელს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება...

— ვფიქრობ, პროცესები ისე წავა, რომ „ქართული ოცნებისთვის“ აუცილებელი გახდება 2019 წელს ვამდელი საპრეზიდენტო არჩევნების გადმოტანა. იმიტომ, რომ მათი რეიტინგის ნანგრევები 2020 წლამდე ვერ მიატანს. რეიტინგის ნგრევაში ძალიან დიდი როლი ზურაბიშვილის მხარდაჭერამ შეასრულა. რაღაც ეტაპზე საზოგადოების განწყობას იზიარებდნენ. ხელისუფლება საზოგადოებასთან აქტიურ ურთიერთობაში არ იყო, მაგრამ რეაგირებდა პროცესებზე და აქტიურად რეაგირებდა. რასაც ახლა ვუყურებ, ეს არის სრული სიბრმავე. როგორ შეიძლება ბრძოლა გამოუცხადო საკუთარ მოსახლეობას? აქ ხომ მარტო ზურაბიშვილის ფაქტორი არ არის. იგივე, რასაც ფარცხალაძის სახით ვუყურებთ. ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება თავისუფლდებოდეს ფარცხალაძის ლაქისგან, მთელი ხელისუფლება გადასულია ფარცხალაძის გადარჩენაზე. მთელი „ქართული ოცნება“ დარაზმულია ზურაბიშვილის და ფარცხალაძის გადასარჩენად. არ ვიცი, ამაში რა ლოგიკაა. საქართველოში ყველა ხელისუფლებამ ჩემს თვალწინ გაიარა და ვუყურებდი, რა საბედისწეროდ ბრამვდებოდნენ და ყრუვდებოდნენ.

— ფარცხალაძე ახსენეთ და საინტერესო ვითარება გვაქვს: გვახსოვს სააკაშვილის მმართველობის დროს როგორ იცავდა მთელი სახელისუფლებო რესურსი ახალაია-სანოძე-ქარდავას კლანს, იგივე მერაბიშვილს და ადეიშვილს. ანალოგიური ვითარება გვაქვს დღესაც. როგორ ფიქრობთ, რატომ აფარებს ხელისუფლება ფარცხალაძეს ხელს, ვერ აცნობიერებს, რომ ეს შეიძლება მისთვის ცუდად დამთავდეს?

— ფანტასტიკური შედარებაა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ასეთი ტაქტიკა ჰქონდა არჩეული — მე სუფთა ვარ, მაგრამ ვიღაცის ჭკუამ მოიფიქრა, მოდი, ხელისუფლების გარეთ შევქმნათ სადამსჯელო ჯგუფები, რომლებიც ბიზნესს და კორუფციულ სქემას მოაგვარებენ, არასასურველ ადამიანებს გააჩუმებენ. როგორც ახლა გამოდიან და მართლაც სამარცხვინოდ იძახიან, ჩვენ ამასთან რა შუაში ვართ, ვინ არის ლევან ყიფიანი, ან ფარცხალაძე საერთოდო, დაახლოებით ამ დონეზე რომ დადიან და ჭურში რომ სხდებიან, რა ჰგონიათ, საზოგადოებას მათი ერთი სიტყვის მაინც სჯერა?

ეს არის ყოვლად სულელური სქემა, რომლითაც ვიღაცეებმა არა ხელისუფლების შიგნით შექმნეს ზონდერჯგუფები, არამედ — გარეთ და როგორც ჩანს, მათ დააკისრეს კორუფციული სქემების და ბიზნეს წილების გადანაწილება. რაც „ომეგასთან“ დაკავშირებით ხდება. ისე ჩანს, რომ ამ კაცს სთხოვდნენ ქრთამს იმისათვის, რომ ბიუჯეტში შესატანი თანხა არ შეეტანა. წარმოუდგენელი რამეა. ამავე პრინციპით საკვლევია სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც საბიუჯეტო დავალიანება ჩამოაწერეს, იმათ რამდენი აქვთ ქრთამად მიტანილი „ბუნკერში“?

საოცარ ფაზაში შევედით და სანამ ხელისუფლება იმ „ბუნკერის“ ბინადარი და ხალხისგან დასაცავი თვითონ გამხდარა, კიდევ დროა რადიკალური რეფორმებით ვითარების შემოტრიალებისა. ეს კიდევ არ არის დასასრული. იმისათვის, რომ დასასრულამდე საქმე არ მივიდეს, აუცილებელია, ხელისუფლება განიწმინდოს ამ ზონდერჯგუფებისგან. ყველა დასაწყისს აუცილებლად აქვს დასასრული. არ მინდა, რომ დასასრული საბედისწერო აღმოჩნდეს ამ ხელისუფლებისთვის და მით უფრო ხალხისთვის.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ასეთია ნაციონალური და „რუსთავი-2-“ის პიარის ქურქში გახვეული, ჭკუამოსწრებული ხათუნა ლაგაზიძის „შემზარავი“ მოჩვენებანი.

სწორედ ასეთი შეფასებები და პოლიტიკური ტყუილები ზრდის „ქართული ოცნებისა“ და სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერთა რაოდენობას...

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სოზარ სუბარის დანიშვნის შემდეგ სამი თვე გავიდა. რა პრობლემები დახვდა დევნილთა და განსახლების ყოფილ მინისტრს რეგიონებში, რისი გაკეთება მოასწრო და რა გზებს ხედავს მომავალში მათ დასაძლევად – ამ თემებზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსმა პირველი ვრცელი ინტერვიუ რადიო **„კომერსანტს“** მისცა.

სოზარ სუბარი: არის რეგიონები, სადაც განვითარების ნაცვლად, ძალიან დიდი ჩამორჩენა გვაქვს!

– ბატონო სოზარ, დავიწყოთ სეზონის ყველაზე აქტუალური თემით, რამდენად წარმატებული იყო 2018 წლის რთველი, რომელიც სუბსიდირების გარეშე, კერძო სექტორმა წარმართა?

– შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი რთველი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო. რთველი კახეთში რამდენიმე დღეში დამთავრდება, ხოლო რაჭაში ახლა იღებენ მოსავალს. უპრეცედენტოდ კარგი მოსავალი იყო და მაღალი ფასები დაფიქსირდა. კახეთის რეგიონში ამ ეტაპზე მხოლოდ ყურძნიდან 250 მილიონ ლარზე მეტი შევიდა. ჯამში კი 300 მილიონ ლარზეა ლაპარაკი. ამას ემატება ტურიზმიდან შემოსული თანხები, რაც დამატებითი შემოსავალია. კახეთში უკვე გადამუშავდა 200 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. როგორც ახსენეთ, პირველი წელია, როცა სახელმწიფო არ აკეთებს სუბსიდირებას. სუბსიდირება იყო დროებითი პროცესი, რათა დავხმარებოდით ამ დარგს გარკვეული კრიზისული პერიოდების გადალახვაში, რაც უკვე გადალახულია. ამის შემდეგ ჩვენ გვაქვს დღის წესრიგში ახალი მიმართულებები. სერიოზული ჩამორჩენაა მეცხოველეობაში და ამ მხრივ, უზარმაზარი გეგმები მუშავდება, განსაკუთრებით მთიანი რეგიონებისთვის.

– ამ ეტაპზე რა შეგიძლიათ თქვათ, უნდა ველოდოთ ახალ პროგრამებს, თუ არსებული პროგრამები გაფართოვდება, რა იქნება ის გარდამტეხი გეგმა, რაც საშუალებას მისცემს რეგიონებს ამოისუნთქონ?

– რეგიონები უთანასწოროდ ვითარდება, არის რეგიონები, სადაც განვითარების ტემპები საკმაოდ კარგია და ეს ხდება ზოგან ტურიზმის, ზოგან სოფლის მეურნეობის ხარჯზე. თუმცა არის რეგიონები, სადაც განვითარება არათუ იგრძნობა, პირიქით, ძალიან დიდი ჩამორჩენა გვაქვს. მაგალითად, ლენტეხში ეკონომიკის განვითარების მიმართულებით არაფერი ხდება, ასევე შეგვიძლია დავასახელოთ გურია, თიანეთი... პარალელურად, მესტიაში, კახეთში, ყაზბეგში ტურიზმის ხარჯზე განვითარების მაღალი ტემპები შეინიშნება. რეგიონებს შორის უთანასწორობის აღმოფხვრა ერთ-ერთი ძალიან სერიოზული მიმართულებაა. ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების მიმართულებით ვაპირებთ, რომ 2,5-ჯერ მეტი დაიხარჯოს, ეს დიდი ამოცანაა. ამ პროექტებში იგულისხმება ცენტრალური და შიდა გზების დაგება სოფლებში, მუნიციპალიტეტებს შორის დამაკავშირებელი გზების დაგება, წყლების მიწოდება.

> სამწუხაროდ, ქვეყანა, რომელიც წყლის რესურსებით ძალიან მდიდარია, ჩამორჩება ამ მიმართულებით. გვაქვს პრობლემები გაზიფიცირების კუთხითაც, არის მთიანი ადგილები, სადაც რამდენიმე კომლი ცხოვრობს და რთულია იმ ტერიტორიებზე გაზის გაყვანა, ამიტომ გვაქვს ალტერნატიული გზები, თუ როგორ უნდა უზრუნველვყოთ ამ ხალხის მოთხოვნები. შესაძლოა, დავამონტაჟოთ ჰელიოსისტემები, რომლებიც გაზს ჩაანაცვლებს და ადგილობრივი წყლის რესურსი გამოვიყენოთ. წყალთან დაკავშირებული პრობლემები, ფაქტობრივად, ყველა რეგიონშია. გურიის რეგიონში ვიწყებთ ამ პრობლემის აღმოფხვრას, რეგიონებთან ერთად დიდ ქალაქებშიც, მაგალითად, ქუთაისში, ზუგდიდში დღემდე არ არის მოგვარებული. ჩვენ გვქონდა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან, ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრთან და გუბერნატორებთან ერთად, სადაც საომავლო გეგმებზე ვმუშაობდით.

– გუბერნატორები ახსენეთ, რა არის მათი მთავარი დავალება?

– გუბერნატორი უნდა იყოს ვალდებული, რომ ყოველდღიურად შეხვდეს ხალხს და იყოს დამაკავშირებელი რგოლი, ერთი მხრივ, ხალხსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, მეორე მხრივ, თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. დღევანდელ შეხვედრაზე, გუბერნატორებს რეგიონებში არსებული პრობლემები ჰქონდათ წარმოდგენილი. შეხვედრამდე მათ შეისწავლეს ეს პრობლემები და უკვე ამ ეტაპზე ხდება მათი განხილვა ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, რომ მოხდეს ამოცანების ჩაშლა. ხშირად, გუბერნატორს აქვს შემთხვევები, როცა უწევს კოორდინაცია იმ საკითხების, რაც მის დაქვემდებარებაში არ შედის. მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მთლიანი სურათი, რა ხდება, მაგალითად, განათლების სისტემაში, ან ცალკეულ მუნიციპალურ პროექტებზე. როგორც ახალი, ისე ძველი გუბერნატორები დღე არ გავა, რომ არ შეხვდნენ მოსახლეობას, დადიან რეგიონებში. კარგი ტანდემი შეინიშნება, პირველად ხდება, როდესაც თვითმმართველობის ხელმძღვანელები, გუბერნატორები და ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის წევრები ერთად დადიან და ერთად მსჯელობენ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რაც რეგიონში არსებობს. დღეს ჩვენ მოვახერხეთ, რომ დაიწყო მჭიდრო და ერთობლივი მუშაობა ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლებს შორის.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მთავარია ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც შემდგომ სხვადასხვა დარგების განვითარებას გამოიწვევს?

– ინფრასტრუქტურის განვითარება არის იმის საფუძველი, რომ სხვა მიმართულებები განვითარდეს. ინფრასტრუქტურის განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს რაღაც სექტორის ან რეგიონის განვითარება, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, მაგრამ შეიძლება არც გამოიწვიოს. მაგალითად, ჩვენ რომ გავიყვანოთ გზა თუშეთში და თან რეკლამა გავუკეთოთ, ძალიან ბევრი ტურისტი წავა ამ რეგიონში, პარალელურად, გამოჩნდება სასტუმროების აშენების ძალიან ბევრი მსურველი. თუმცა, თუ ჩვენ არ გვექნება მკაცრი კონტროლი, თუშეთს დავკარგავთ და ის აღარ იქნება ის თუშეთი. მთა ყველგან არის. ამიტომ, ცხადია, საჭიროა ეტაპობრივად დაგეგმა, კონტროლი, ინფრასტრუქტურის განვითარებაში მხოლოდ გზა არ იგულისხმება, წყალი ყველაზე აუცილებელია, ის არის ანი და ჰოე. სულ რომ არ იყოს ტურიზმი განვითარებული რეგიონში, იქ ადამიანები ცხოვრობენ, ფერმერები, გლეხები, ინტელიგენტი, მოსამსახურე და ყველას სჭირდება წყალი.

შავი ზღვისპირა რეგიონში, სვანეთში, თუშეთში, კახეთში ტურიზმი ძალიან განვითარდა. ძალიან დიდი პოტენციალი აქვს რაჭას, მესხეთს, როგორც ბაკურიანი და ბორჯომია განვითარებული, ისე შეიძლება ტაბაწყურის ტბის, ახალქალაქის, ჯავახეთის მიმართულებების განვითარება. სამეგრელოში, იმერეთში გვაქვს უზარმაზარი აუთვისებელი პოტენციალი. ზემო რაჭა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს იყო უდიდესი ტურისტული პოტენციალის მქონე რეგიონი, დღეს პრაქტიკულად ამ პოტენციალის მიღმა დგას. იმავენაირად შეგვიძლია ვისაუბროთ ლეჩხუმში ხვამლის მთაზე, უსახელოურის ჯიშებზე. ასეთი უამრავი ადგილი გვაქვს, მათ სჭირდება მოვლა, გეგმის შედგენა, თუ როგორ მოვიზიდოთ ტურისტი, რა ტიპის ტურისტი გვჭირდება და ა.შ. ამ შემთხვევაში, ინფრასტრუქტურის განვითარება უპირველესად საჭიროა.

– როდისთვის გექნებათ კონკრეტული სურათი და როდის დაიწყება ამ მიმართულებების განვითარება?

– ასეთი სურათი, რაღაც დონეზე უკვე არსებობს და მოქმედებებიც დაწყებულია. მაგალითად, აბასთუმანში მომავალი წლიდან იწყება გრანდიოზული მშენებლობა და აღდგენითი სამუშაოები, რათა აბასთუმანი გახდეს ისევ იმ დონის კურორტი, როგორიც ათწლეულების წინათ იყო. ჭიათურაზე იმავეს გაკეთება ცოტა ძნელია. ვიფიქროთ, მაგრამ ჭიათურა კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენი ასეთი იდეა შეიძლება დაიბადოს. არსებობს უკვე ბაკურიანის, გუდაურის, აბასთუმნის, მესტიის განვითარების გეგმებიც. პარალელურად მიდის მუშაობა მთელი საქართველოს განვითარების გეგმის შემუშავების, ამ მხრივ ეკონომიკის სამინისტრო და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტრო ერთობლივად მუშაობს. სტრუქტურულ ცვლილებებზეც მინდა ვისაუბრო, ეკონომიკის სამინისტროში შედიოდა სივრცითი მოწყობილობის დეპარტამენტი, რომელიც გადავიდა ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროში. ინფრასტრუქტურის განვითარება უნდა იყოს მორგებული საქართველოს სივრცით მოწყობაზე და ვფიქრობ, ძალიან სწორი იყო ეს სტრუქტურული ცვლილება.

შიდა გზები ახსენეთ და სოფლები, რაიონები, სადაც ნაკლებად არის განვითარებული ეკონომიკა. მათ შორის, აჭარა, გურია... კომერსანტი წერდა ურეკში, შეკვეთილში არსებულ გზებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მუდმივად აცხადებენ როგორც გუბერნატორები, ისე ადგილობრივი მმართველი ორგანოს წარმომადგენლები, რომ მოგვარდება ეს პრობლემა, თუმცა მოსახლეობა საუბრობს, რომ რეალურად პროცესი წინ არ მიდის.

ამ კონკრეტულ შემთხვევებზე გამიჭირდება კონკრეტული პასუხის გაცემა. ზოგადად ძალიან ბევრი პრობლემა ახლავს ინფრასტრუქტურულ პროექტებს. მაგალითად, სადღაც ტენდერი ჩაიშლება, სადღაც კომპანია არ გამოდგა ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, არ ხდება რეაგირება, ზოგჯერ შესაძლოა, ასეთი შემთხვევები კორუფციით ავხსნათ. არაერთ საქმეზე მიდის გამოძიება. მე ჩავინიშნავ იმ ადგილებს, რომელიც თქვენ დაასახელეთ და აუცილებლად მოვიკითხავ, რა ხდება ამ ლოკაციებზე.

მაგრამ მთლიანობაში წარმოუდგენლად დიდი თანხა დაიხარჯა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შიდა გზების რეაბილიტაციაზე. დღეს ჩქაროსნული მაგისტრალი სამჯერ მეტი ტემპით კეთდება, პარალელურად, უამრავ სოფელში იგება შიდა გზა, რამდენიმე დღის წინათ ქვემო ქართლის გუბერნატორმა მოიარა რაიონი და ნახა, რომ ისეთ სოფლებშია მისული გზა, სადაც ხალხი არც კი ოცნებობდა გზის დაგებაზე.

– ტენდერებთან დაკავშირებული პრობლემები, როგორ შეიძლება რომ მოგვარდეს, ასევე კომუნიკაციაც ახსენეთ, როგორია ხელისუფლების ხედვა?

– მაია ცქიტიშვილს აქვს მასშტაბური ხედვა და საოცრად კომპეტენტური გუნდი შეკრიბა. ბევრი ის პრობლემა, რომელიც წლებია დაგროვდა, ახლა გადაწყვეტის ეტაპზეა. 2 ტიპის პროექტები გვაქვს, პირველია საერთაშორისო დონორების ფულით, რომლებიც ხორციელდება და მეორე ჩვენი ბიუჯეტის. ყველა დონორს აქვს თავისი წესები და ამ წესებს უნდა მოვერგოთ. ხშირად კონტრაქტის გაწყვეტა საერთაშორისო მოთამაშეებთან ძალიან რთულია და შესაძლოა, დასჭირდეს ამ პროცესს თვეები და წლებიც კი.

ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებთან არსებული პრობლემების მოგვარება ამ შემთხვევაში მარტივია, სწრაფად შეგვიძლია გადაწყვეტილების მიღება. დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სამინისტროდან, რეგიონებში, მონიტორინგის სამსახური ჩადის და ამოწმებს პროექტებს. გაიზარდა თვითმმართველობების ანგარიშვალდებულება. ეს არ არის ერთჯერადი მონიტორინგი, იგი გაგრძელდება მუდმივად და დარწმუნებული ვარ, ნაკლები პრობლემებიც გვექნება. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გამოჩნდებიან არაკეთილსინდისიერი კომპანიები ან მოხელეები, თუმცა გაცილებით ნაკლები იქნება მათი რაოდენობა მკაცრი კონტროლის არსებობის პირობებში.

– მთის კანონმა იმუშავა თუ არა რეალურად? როგორია იმ სოფლების მდგომარეობა, რომლებმაც მიიღეს ეს სტატუსი, მთის სამინისტროს შექნაზეც იყო საუბარი.

– მთის კანონი მუშაობს ძალიან კარგად და ეს არის სფერო, სადაც სახელმწიფოს უფრო მეტი ჩარევაა საჭირო. „კანონი მივიღეთ და თქვენს თავს მიხედეთ,“ – ასე არ მუშაობს კანონი. ხშირად ვხვდებით და ვგეგმავთ მთელ რიგ ამოცანებს. მაგალითად, არის სოფლები, რომლებიც დაცლის პირას იდგა, ადიშში 4 მოსახლე იყო დარჩენილი. მერმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა მოსახლეებს ჰკითხეს, რა გაგიკეთოთ, რომ არ წახვიდეთ სოფლიდანო და 1 ტრაქტორი მოითხოვეს, გზას ჩვენით გავწმენდთ ხოლმეო. დღეს ამ სოფელში ზამთარში 20 მოსახლე რჩება უკვე. იგივე შეიძლება ითქვას, რაჭის სოფლებზე, სადაც ტურისტები უნდა მივიზიდოთ, ამ რეგიონში მეცხოველეობა მიზანმიმართულად ვითარდება და ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნება ახალი ფერმები.

რაც შეეხება მთის სამინისტროს, მცირე მთავრობის კონცეფციაში, ცხადია, ახალი სამინისტროს შექმნა არ ჯდება, თუმცა ის, რომ თავის დროზე ამ სამინისტროს შექმნაზე ქილიკი დაიწყეს, არასწორია. მაგალითად, თევზჭერის სამინისტრო, საქართველოში სადაც არ გვაქვს თევზჭერის დიდი კულტურა, შეიძლება მივიჩნიოთ საქილიკოდ, როცა ისლანდიაში ეს სამინისტრო ერთ-ერთი წამყვანია. მარტოობის სამინისტრო შექმნა ინგლისმა. საქართველოში კი, სადაც 70% მთიანი რეგიონია, არ იქნებოდა ცუდი იდეა ამ სამინისტროს შექმაზე. თან, მაშინ, როდესაც ამ თემაზე საუბრობდნენ, არ გულისხმობდნენ სრულფასოვანი სამინისტროს შექმნას, ეს იქნებოდა ერთგვარი მაკოორდინირებული ორგანო, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მსგავსი, ეს ფუნქცია თავისთავად, შესაძლოა, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეითავსოს დღეს.

– თუ შეგვიძლია ვთქვათ, კონკრეტულად, 2019 წელს რამდენ სოფელში იქნება ახალი გზა, წყლის სისტემა, ასეთი სტატისტიკა გვაქვს? ბიუჯეტის განხილვა პარლამენტში დაიწყო უკვე?

– ხუთშაბათს (12 ოქტომბერს) გვაქვს სწორედ ამ თემებთან დაკავშირებით მორიგი შეკრება. ზუსტი ციფრი შეიძლება იქაც არ გვქონდეს, მაგრამ მთლიანობაში ვისაუბრებთ და გვექნება ამ თემებზე მსჯელობა. ვისაუბრებთ, იმავე მელიორაციის პრობლემებზე. ამის შემდეგ, უფრო მეტად ვიქნებით მზად, გავცეთ ამ კითხვებზე პასუხი.

სალომე სოსელია
commersant.ge

АМЕРИКИС САНКЦИЕБИС ЕКОНОМИКУРИ ДА ПОЛИТИКУРИ ОМИ МСОФЛИОС АЗАНЗАРЕБС!

САНКЦИЕБИС **თემა ჩვენი მკითხველისთვის არახალია. მისი სულისჩამდგმელი აშშ ბევჯითად იყენებს ამ სადამსჯელო ოპერაციას მრავალი ათეული წლის განმავლობაში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. საბჭოთა კავშირსა და კუბის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ შემოღებული სანქციები შავი ასოებით არის ჩასაწერი გინესის რეკორდების წიგნში, თუმცა ავტორს ნაკლებად ადარდებს სხვათა ნეგატიური დამოკიდებულება მის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ზეწოლის მიმართ.**

სანქციები არაფრით ჩამოუვარდება ომს, ვინაიდან შედეგი არცთუ განსხვავებულია. თუ ომი დიდ მსხვერპლს იწვევს, თანაც სწრაფს, ეკონომიკური სანქციები შედარებით ნაკლები მსხვერპლით გამოირჩევა, მაგრამ მსხვერპლი არის – დროში გაწელილი, სანქციების შედეგად გამოწვეული დუხჭირი ცხოვრების გამო.

სანქციები იწვევს სანქცირებულის აღელვებას, ბუნტს, შიდა დაპირისპირებას, ანუ დუხჭირი ცხოვრების შედეგად ხალხის გულისწყრომის ზრდას საკუთარი ხელისუფლების მიმართ.

თანამედროვე ისტორიის გაკვეთილებმა არაერთხელ შეგვახსენეს სანქციების ძალა და გავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებზე. ასე რომ, აშშ-ის პოლიტიკოსთა განცხადება – ეკონომიკური სანქციები, სანქცირებული ქვეყნის მოსახლეობის საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებისთვის არ არის მოწოდებული, მტკნარი სიცრუეა.

თანამედროვე ამერიკა არა მარტო თვით უწესებს სანქციებს მეტოქეებს, არამედ მოკავშირეებსაც აიძულებს იმავეს და არა მარტო მათ, არამედ ბიზნესსაც. მაგალითად, ირანის წინააღმდეგ შემოღებული ამერიკული სანქციების ფრანგული, გერმანული ან სხვა ქვეყნის ბიზნესის მიერ უგულებელყოფა და ირანთან ბიზნესურთიერთობების გაგრძელება, გამოიწვევს ამერიკულ ბაზარზე მოქმედი იმავე ბიზნესის დასჯას.

კუბა ნახევარ საუკუნეზე მეტია იმყოფება მძიმე ამერიკული სანქციების ქვეშ, მაგრამ შედეგი ისეთი, რაც ვაშინგტონს აწყობს, მიღწეული არ არის, ანუ ამერიკამ ვერ გატეხა კუბელები და ვერ აამხედრა ისინი კასტროს კომუნისტური წყობის წინააღმდეგ. ცხადია, კუბას უჭირს ეკონომიკურად, სოციალურად, მაგრამ არა სულიერად.

სხვა ვითარებაა ირანში – 80-მილიონიან ქვეყანაში, სადაც საკუთარი მრეწველობა, განათლების სისტემა, მეცნიერება, სოციალური ყოფა გაცილებით უკეთ არის წარმოდგენილი, ვიდრე კუბაზე. სანქციები ამ ქვეყნისთვის ახალი არ არის. ამერიკული „საჩუქრებით“ ის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ „გაანებივრეს“. ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებას დიდი თავის მტვრევა არ დაუწყია გზის გასაკვალად. მან ჩათვალა, რომ სანქციები პერმანენტული და ხანგრძლივია და დაიწყო ყველაფრის შინ წარმოება.

თანამედროვე ირანი სამაგალითო ქვეყანაა რეგიონში. ეს ქვეყანა მდიდარია ენერგომატარებლებით – გაზითა და ნავთობით, სხვა წიაღისეულით, რომლითაც ის ვაჭრობს. სწორედ ენერგეტიკა აღმოჩნდა სანქციების ძირითად სამიზნედ. აშშ-მა მოუწოდა მოკავშირე ქვეყნებს მიბაძონ მას და გაიზიარონ ირანის წინააღმდეგ დაწესებული ამერიკული სანქციები.

ცხადია, ახალი სანქციები – ძველთან ერთად, შეაფერხებს ირანის ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ ვეჭვობ, რომ მან ხალხი გამოიყვანოს ქუჩებში ხელისუფლების შესაცვლელად.

სანქციების ერთ-ერთი და მთავარი სამიზნე რუსეთია. რახანია ეს ქვეყანა სანქციების შემოტევას იგერიებს და როგორც ხელისუფლება აღნიშნავს, მადლიერიც არის სანქციური შეტევისა, ვინაიდან სანქციებმა აიძულეს რუსეთი ხელი გაენძრია და იმპორტულის ნაცვლად საკუთარი წარმოების პროდუქციით დაეკმაყოფილებინა ბაზარი.

არ გამართლდა ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების გათვლები სანქცირებული რუსეთის დაჩოქების თაობაზე. რუსეთმა გაუძლო დასავლურ შემოტევას და ეკონომიკური წინსვლაც მოახერხა. დასავლური მონაცემების მიხედვით, ერთიანი ეროვნული პროდუქტის წარმოებით რუსეთის მონაცემებმა 1.5-დან 1.8% შეადგინა.

რუსეთი სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებით დიდით ვერაფრით გამოირჩეოდა და იმპორტზე იყო დამოკიდებული. დღეს ექსპორტიორია. რუსეთი თავის ხორბალსა და მარცვლეულს 140 ქვეყანაში ყიდის. საექსპორტოდ გააქვს საქონლის და ქათმის ხორცი, თევზი, სხვა პროდუქტები.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების უცხოეთში გაყიდვით შემოსული ვალუტა აჭარბებს სამხედრო იარაღით ვაჭრობიდან შემოსულ მილიარდებს. სოფლის მეურნეობაში მოპოვებულმა წარმატებამ, განსაკუთრებით ხორბლის დარგში, ისე დააფრთხო აშშ-ის ადმინისტრაცია, რომ სერიოზული მსჯელობა გააჩაღა სოფლის მეურნეობის განვითარების შესაფერხებელი სანქციების შემოსაღებად.

როგორც ჩანს, სანქციებმა ვერც ეკონომიკური ვითარება გააუარესა რუსეთში და ვერც რუსეთის მოსახლეობა დარაზმა პრეზიდენტ პუტინის წინააღმდეგ.

სანქციების თემამ ჩინეთამდეც მიაღწია, რამაც არა მარტო ჩინეთზე, არამედ მსოფლიოზე, მათ შორის აშშ-ზეც იმოქმედა. საკითხი ვაჭრობას ეხება. აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი თვლის, რომ ორი ქვეყნის ვაჭრობით ჩინეთი მეტს იგებს, ვიდრე აშშ. აქედან გამომდინარე, ა.წ. ივლისში აშშ-მა 25%-იანი გადასახადი დაწესა ჩინეთის 818 სახის საქონელზე, რომელიც აშშ-მა ბაზარზე შედის. საერთო ჯამში მან წლიურად 34 მილიარდი დოლარი შეადგინა.

პეკინმა უყოყმანოდ უპასუხა, ანუ მანაც დაუწესა ამერიკულ საქონელს გადასახადი. აგვისტოში აშშ-მა ახალი სანქციები დააწესა, რამაც 16 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამაზეც შესაბამისი რეაქცია მიაყოლა ჩინეთმა. სექტემბერში აშშ-მა ახალი სანქციები დაუწესა ჩინეთს „როსობორონექსპორტთან“ თანამშრომლობისთვის, რაც გულისხმობს ჩინეთის მიერ „СУ-35“ საბრძოლო თვითმფრინავებისა და სარაკეტო სისტემა С-400 -ის შეძენას.

ვაშინგტონის ქმედება მკაცრად გააკრიტიკა ჩინეთის საგარეო უწყებამ, მინისტრის მოადგილის პირით: **„ამერიკული სანქციები ნიშნავს საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპების უხეშ დარღვევას“,** – განაცხადა მან.

საკითხი ამ განცხადებით არ ამოიწურა, მას სხვაც მოჰყვა. **„რუსეთ-ჩინეთის ერთიანი ძალისხმევა იძლევა აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების დაძლევის შესაძლებლობას“,** – თქვა კომერციის მინისტრის მოადგილე ფუ ძინმა.

ასე, რომ აშშ-ის ძალისხმევით მივიღეთ სამი სანქცირებული ქვეყანა რუსეთ-ჩინეთ-ირანის სახით, რომლებიც რახანია ერთმანეთთან წარმატებით თანამშრომლობენ. მაგალითად, რუსეთ-ირანი – სირიაში ტერორიზმთან ომში; რუსეთმა ირანში ააშენა ატომური ელექტროსადგური; აშენებს ბუშერის ატომური ელექტროსადგურის მე-2 ბლოკს. დასრულებულია ირან-აზერბაიჯან-რუსეთის დამაკავშირებელი რკინიგზა, რომელსაც საავტომობილო გზასთან ერთად დიდი წვლილის შეტანა შეუძლია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ტვირთების ევროპაში გადასატანად. ამ გზით უკვე ისარგებლა ჩინეთმა.

რუსეთის პრეზიდენტის ინდოეთში ვიზიტის დროს შეთანხმდნენ აღნიშნული გზით ინდოეთის პროდუქციის ტრანსპორტირებაზე. ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობა მრავალმხრივია – ენერგეტიკიდან დაწყებული, სამხედრო წვრთნებით დამთავრებული. გარდა ამისა, ჩამოყალიბდა ორი ქვეყნის ლიდერს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკაში.

7 სექტემბერს თეირანში ვიზიტის დროს ქვეყნის მეთაურ აიათოლა ხამენეისა და რუსეთის პრეზიდენტ პუტინს შორის გამართული საუბრისას მასპინძელმა ბრძანა: **„რუსეთ-ირანს შეუძლიათ აწარმოონ ორმხრივი თანამშრომლობა გლობალურ საკითხებში. ერთ-ერთი საკითხი არის აშშ-ის შეჩერება, ვინაიდან ის არის საფრთხე კაცობრიობისთვის და ამერიკული სანქციების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა“.**

წამოიწყო რა სავაჭრო ომი რუსეთთან, ჩინეთთან, ირანთან – აშშ არა მარტო თითოეული მათგანის მიერ კონტრპასუხს მიიღებს, არამედ ერთიანი ფრონტით განხორციელებულ შეტევას, როგორც გეოსტრატეგიული, ისე გეოეკონომიკური თვალსაზრისით. და მას ვერ შეაჩერებს აშშ-ის უშიშროების საბჭოს მდივნის, ცნობილი ირანოფობის ჯონ ბოლტონის ნათქვამი:

„თუ თქვენ ჩვენს გზას გადაკვეთთ, აგრეთვე ჩვენი მოკავშირეების და პარტნიორებისა, თუ თქვენ ავნებთ ჩვენს მოქალაქეებს, თუ თქვენ გააგრძელებთ ტყუილებს, ფარისეველობას – ნამდვილად შეგიქმნით ჯოჯოხეთს და თქვენ მოგიწევთ დიდი ფასის გადახდა“.

ამას ეუბნებიან ირანს, რომლის ნავთობის გაყიდვით მიღებულმა შემოსავალმა ბოლო 4 თვის განმავლობაში შეადგინა თითქმის 10 მილიარდი დოლარი, რაც 61%-ით მეტია წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

ქვეყანა ყოველდღიურად ყიდის 2,3 მილიონ ბარელ ნავთობს. ირანის ნავთობის ტრადიციული მყიდველებია: ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა. ირანის ნავთობის ექსპორტის 60% ამ ქვეყნებში მიდის, 40% კი – ევროპის ქვეყნებში.

აშშ მოუწოდებს საუდის არაბეთს გაზარდოს ნავთობის მოპოვება, რაც თავისთავად დაწევს ნავთობზე ფასებს. თუ ნავთობზე ფასების კლება დაფიქსირდება, აშშ ადმინისტრაციის აზრით, ირანის ბიუჯეტი ვერ მიიღებს ისეთ შემოსავალს, როგორიც დღეს აქვს. გარდა ამისა, აშშ მოუწოდებს ირანის ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებს შეამცირონ ირანიდან ნავთობის შესყიდვა და ეს მაშინ, როდესაც თვით ვაჭრობს ირანთან.

ტრამპმა, ირანი პრეზიდენტობამდე აითვალწუნა, აკრიტიკებდა რა მას წინასაარჩევნო პერიოდში. კრიტიკა პრეზიდენტობის დროსაც გააგრძელა. ასე იყო ჩრდილო კორეასთან მიმართებაშიც, თუმცა ვითარება კარდინალურად შეიცვალა ტრამპისა და კიმ ჩენ ინის (ჩრდილო კორეის ლიდერის) შეხვედრის შემდეგ. იქნებ, ირანის გამეტებული ლანძღვა ტრამპისეული ტაქტიკის ნაყოფია?

კითხვები მრავალია. პასუხები არ ჩანს. ერთადერთი ვარაუდი რაც არის – ირანისთვის ახალი სანქციების დაწესებაა, რომელსაც ა.წ. ნოემბერში ექნება ადგილი. და თუ ეს მოხდა, ნავთობზე ფასები უფრო მეტი იქნება, ვიდრე დღეს, ისედაც გაზრდილთან შედარებით (ერთი ბარელი 86 აშშ დოლარია).

ნავთობზე ფასების ზრდას უმალ იგრძნობს მსოფლიო და მათ შორის ჩვენც. საკუთარი ნავთობიმპორტიორების წყალობით ბენზინზე ფასების სისტემატურმა ზრდამ გადაჭამა ბაზარი, რამეთუ საწვავის გაძვირება ავტომატურად იწვევს თითქმის ყველფერზე ფასების მატებას – წამლებზე, კვების პროდუქტებზე, პირველადი მოხმარების საქონელზე, მომსახურებაზე და ა.შ.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიგოლოგი.

УВИЗО МИМОСВЛИС ПЕРСПЕКТИВА ДАМОКИДЕБУЛИА МХОЛОД ЩЕНЗЕ, АНУ САКАРТВЕЛОСА ДА РУСЕТЗЕ

РУСЕТ-САКАРТВЕЛОС **უვიზო რეჟიმის პერსპექტივა დამოკიდებულია ჩვენს ქვეყნებზე, – ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა საზოგადოებრივ მაუწყებელს განუცხადა.**

მისი თქმით, პოლიტიკური წინააღმდეგობა ამისთვის არ არსებობს.

„თუ მოვაგვარებთ უსაფრთხოებასთან, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაშინ ადრე თუ გვიან მივაღწევთ ძალიან გამარტივებულ რეჟიმს და შეიძლება უვიზო რეჟიმსაც კი. პოლიტიკური წინააღმდეგობა ამისათვის არ არსებობს. გვსურს, რა თქმა უნდა, რომ ჩვენს ქვეყნებს სრულყოფილი დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდეთ, მაგრამ, თუ ეს არ გამოდის, მაშინ დაველოდოთ უფრო შესაფერის მომენტს. სავიზო საკითხზე ჩვენ ვფიქრობთ და ვმუშაობთ“, – განაცხადა გრიგორი კარასინმა.

ასე ამბობდა სალვადორ დალი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

დალი სიურრეალიზმის თაობაზე

ვერა და ვერ ვისწავლე ანბანი, და სიტყვას რომ ვეძებ სიტყვისკონაში, ალალბედზე გადავშლი ხოლმე და მუდამ ვპოულობ იმ სიტყვას, რომელიც მჭირდება. ანბანური წესი და რიგი ჩემი სპეციალობა არ არის, ამიტომ ყოველთვის უგულებელვყოფდი. მაშასადამე, უნდა მეუგულებელყოფა სიურრეალიზმის ანბანური წესი და რიგიც, რამეთუ ნებსით თუ უნებლიეთ სიურრეალიზმი ამიერიდან მარტო მე ერთს მეკუთვნოდა.

* * *

სუყოველმა შეითვისა სიურრეალიზმი სწრაფად და ბრძნულად. ისინი იმავე წერტილთან მივიდნენ, სადაც მეც მივედი, იმავე კოსმოგონიის მშობიარობის ტკივილთან აღმოჩნდნენ, ტრადიციებზე რომ არის აგებული და ჩადუღაბებულია ჩვენი სისხლით.

* * *

მიმიფურთხებია იმ ჭორებისთვის, რომელთა გავრცელებაც ანდრე ბრეტონს შეუძლია ჩემზე, იმას უბრალოდ არ უნდა ჩემთვის იმის პატიება, რაკი უკანასკნელ და ერთადერთ სიურრეალისტად ვრჩები...

* * *

ჩემი აწინდელი ბირთვული მისტიციზმი სხვა არა არის რა, თუ არა ჩემი ცხოვრების დასაბამიერი დროის სიურრეალისტურ ექსპერიმენტთა ეშმაკისეული ნაყოფი, თვით სულიწმიდის მიერ შთაგონებული.

* * *

სიურრეალიზმი — ეს მე ვარ.

მუდამ შეიძლება რაგინდარა ადამიანურ ურთიერთობებში საქმის ისე დაყენება, რომ სრულად გახდე მდგომარეობის ბატონ-პატრონი. ესეგვარი იყო ჩემი პოლიტიკა სიურრეალიზმთან დაკავშირებით.

* * *

მე კატეგორიულად ვეუარებოდი სიურრეალისტებში უბრალოდ კიდევ ერთი ლიტერატურულ-მხატვრული ჯგუფის ხილვას. ჩემი აზრით, იმათ იმის უნარი აქვთ, რომ ადამიანი გაათავისუფლონ „რაციონალური პრაქტიკული მსოფლიოსგან“. მე ირაციონალურობის ნიცშეობა მწადდა.

* * *

ვიდრე ჩემი ცხოვრება შეიცვლებოდა, ანუ ისეთი გახდებოდა, რაც დღეს არის — ასკეტიზმისა და სათნოების ნიმუში — ჯერ კიდევ კარგა ხანიერ ვებღაუჭებოდი ჩემს ილუზიურ სიურრეალიზმს და ვცდილობდი, რომ მეგემნა პოლიმორფული უკეთურება მთელი თავისი მრავალფეროვნებით, — აგრე მძინარე ლამობს ამაოდ თუნდ წამიერად მაინც ჩაირჩინოს გონებაში წარმავალი ბაკქუსური ზმანების უკანასკნელნი ნამცეცნი.

* * *

სიურრეალისტთა ჯგუფის წიაღში ყოფნისასაც კი ვახერხებდი, რომ მეიძულებინა ისინი და ყოველდღე თითო იდეა ან იერსახე რამ ეყლაპათ, რომელი იდეაც და იერსახეც სავსებით ეწინააღმდეგებოდნენ ტრადიციულ გემოვნებას.

* * *

უნდა ითქვას, რომ პირადად ჩემთვის, მეტადრე სიურრეალიზმის სათვალმჩენობის ჟამს, სნობიზმი ნამდვილ სტრატეგიად იქცა, მე ხომ ერთადერთი ვიყავი, რენე კრეველის გარდა, ვინც ზეპურ საზოგადოებაში ჩნდებოდა და ვისაც იქ იღებდნენ. სხვა სიურრეალისტები ამ გარემოს არც იცნობდნენ და არცროდის იქ ცხვირს არ აყოფინებდნენ.

დალი თავისი უცნაურობისა და ახირებულობის თაობაზე

სალვადორ დალი თავისი დროის ყოვლის უფრო ექსტრავაგანტური და ეპატაჟური პიროვნება იყო, რომლის მრავალრიცხოვანი გამოხდომები, მუდამ ნამდვილ შოუს რომ წარმოადგენდნენ, უკვე ლეგენდარული თანრიგისანი არიან.

დალი ყველასაგან განსხვავდებოდა და ძალიან ამაყობდა ამით. ექსტრავაგანტურობა მხატვარს ხანისად ძვირად უჯდებოდა — სწორედაც ამ უცნაურობისა და ახირებულობის გამო გამორიცხეს იგი ნატიფ ხელოვნებათა აკადემიიდან, ამისივე გამო შეაქცია ზურგი მამამ, ვერ აიტანა შვილის აღმაშფოთებელი საქციელი და სახლიდან გამოაძევა. მაგრამ ვერანაირმა ძალამ თუ დამოკიდებულებამ ვერ აიძულა მეტრი, რომ სხვათანაირი გამხდარიყო. ის ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო და ამით ტკბებოდა.

* * *

მე ყოველთვის კანთიელად მქონდა გაცნობიერებული, თუ სახელდობრივ რის მიღწევა მწყუროდა ჩემი ჭკუით. სხვა საქმეა ჩემი გრძნობები, საპნის ბუშტებსავით მსუბუქი და არამტკიცე, — მე არცროდის არ შემეძლო ჩემი საქციელის ისტერიკულობისა და უაზრობის განჭვრეტა. უფრო მეტიც, ჩემი ამა თუ იმ მოქმედების კვანძის გახსნა პირველს მე თვითონ მანცვიფრებდა!

* * *

ერთი მწიკვი დალი ღრუბლებში, პეიზაჟებში, შავ ზაფრაში, ფანტაზიებში, საუბარში, ოღონდ ყოველთვის ოდენ ერთი მწიკვი — მხოლოდ აგრე შეიძლება ცხარე და მაცდუნებელი გემოს მიღწევა.

* * *

ვინ იცის, რამდენჯერ შემიმჩნევია, რომ უგუნურნი უგუნურთ იზიდავენ. სადაც არ უნდა გამოვჩნდე — გიჟები და თვითმკვლელნი უკვე მელოდებიან იქ და საპატიო ამალად ამედევნებიან ხოლმე. ისინი ინსტინქტურად გრძნობენ, რომ იმათგანი ვარ, თუმცა, აღიარებენ, რომ გიჟსა და ჩემ შორის ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ მე გიჟი არა ვარ.

* * *

იმ დღისით, ოდეს ინგლისში გასახლებული ფროიდი მოვინახულე, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მან მითხრა: კლასიკურ სურათებში ქვეცნობიერს ვეძებ, სიურრეალისტურში იმას ვეძიებ, რაც ცნობიერიაო!

* * *

გარშემო საზოგადოებრივი აზრის აფთარი ღრინავდა და მოითხოვდა, რომ გამეცხადებინა: ჰიტლერისტი ვიყავი თუ სტალინისტი? არა, ათასჯერ არა, მე დალისტი ვიყავი და დალისტის გარდა სხვა არცვინ. თვით სიკვდილამდე!

* * *

რისამე მოკლება სჯობს, ვიდრე შემგუებლად ყოფნა.

* * *

ჩემი „დამახინჯებული პოლიმორფულობისდა“ გამოისად განვითარებაში ფენომენალური ჩამორჩენილობის უმაღლესი დონის ამრეკლი, ამსხლეტი გავხდი; აღვიბეჭდე რა მეხსიერებაში ერეტიკული წარმოშობის ძუძუთა ბავშვის ბუნდოვანი სამოთხისეული მოგონებანი, ეგოისტის უსაზღვრო სიჯიუტით ვებღაუჭებოდი სიამოვნებას. და რაკიღა წინააღმდეგობას არ ვაწყდებოდი, საშიშარი ვხდებოდი. ერთხელაც საღამოთი გულის ქინძისთავით ისე დავუკაწრე ლოყა ჩემს ძვირფას ძიძას, რომ სულ სისხლი სდიოდა — მხოლოდ იმისთვის, რომ ის დუქანი, სადაც ჩემი საყვარელი ნუგბარის საყიდლად დავყავდი, უკვე დაეკეტათ.

* * *

ჩემთა იდეათა შეპუდვრა ჩემს აბრურეპუტაციას აზიანებს.

* * *

განსაცვიფრებელი რამ არის თვალი! ჩემს თვალს მახვილმხედველ ფოტოაპარატად მივიჩნევ არა გარესამყაროს კადრების, არამედ ჩემთა მკაფიო აზრთა და საერთოდ აზრთა გადასაღებად.

* * *

ერთი შეხედვითვე ნათელი იყო, რომ ჩემი ეპოქა მძულდა.

* * *

მწადს თუ არა ეს, განწირული ვარ — ვიცი, ჩემი ექსცენტრიკულობა ბედის ანაბარა დამტოვებს.

* * *

ამრიგად, დამტკიცებულია, რომ დალი უდრის დალის, რომ მე იგივე ვარ მუდმივად და ჩემი პარადოქსული ტრადიცია ჩემი პიროვნების უტყუარი ძალაა. მე ვგრძელდები...

* * *

დემოკრატიულ რეჟიმთ არ ძალუძთ იმ განსაცვიფრებელ გამოცხადებათა გამოქვეყნება, რაც ჩემთვის ჩვეულია.

* * *

მე არცროდის არ ამიკრძალავს ჩემი ნაყოფიერი მოქნილი წარმოსახვისთვის ყოველის უფრო მეცნიერული მეთოდებით სარგებლობა. ეს მხოლოდ სიმკაცრეს სძენს სუყოველ ჩემს თანდაყოლილ უცნაურობასა და ჟინიანობას.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №196-201

„ეს ვალიას, ეს თედორეს, ეს ტარიელს, ეს კი – მოსეს, ჯერ ვითვლებით ქართველებად, თუ არ გაგვაესკიმოსეს“

გალაკტიონი

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს ჩემი მშობლიური რაიონის სოფელ ყუმისთავში პრომეთეს მღვიმის შესასვლელთან, ცნობილი სპელეოლოგისა და ჟურნალისტის, წყალტუბოს საპატიო მოქალაქის ჯუმბერ ჯიშკარიანის მემორიალური დაფა გაიხსნა, რასაც ოჯახის წევრებთან ერთად ვესწრებოდი. პარალელურად, ბუნების ამ საოცრების დათვალიერება გადავწყვიტეთ და იმ ვიზიტორებს შევუერთდით, რომლებიც მღვიმეში შესასვლელად ემზადებოდნენ.

ჩემი ყურადღება მიიქცია ინგლისურენოვანმა ჯგუფმა. მათი უმრავლესობა ინდუსები იყვნენ, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური მათთვის მშობლიური ენა, შიგადაშიგ ჰინდის ენაზეც გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

ინდოელები მრავალრიცხოვანი ერია, კაი ხანია მილიარდს გადააჭარბეს, ამიტომ მათი სიმრავლე გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ უსიამოვნო ფიქრებმა სხვა მიმართულებით წამიყვანა და ამაფორიაქა.

ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში ბინადრობის უფლების მთხოვნელთა შორის, ინდოელები მეორე ადგილზე არიან თურქების შემდეგ და მათი შემოდინება მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა არც სხვა ქვეყნების მიგრანტების პროცენტული მაჩვენებელი იძლევა დამშვიდების საფუძველს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, 2012-2017 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემულია 71681 ბინადრობის მოწმობა, წლევანდელი წლის მაჩვენებლებით კი – 80 ათასზე მეტი!.

დემოგრაფიულ პრობლემებზე მომუშავე აღიარებული სპეციალისტების აზრით, თუ დეპოპულაციასთან ერთად ემიგრაციული პროცესი ამ ტემპით გაგრძელდა (ჩვენი მოქალაქეები მასობრივად ტოვებენ ქვეყანას), ქართველები საკუთარ ქვეყანაში მალე უმცირესობაში აღმოვჩნდებით და გამოთავისუფლებულ ადგილებს უცხოელები დაიკავებენ.

უცხოელების ჩვენი ქვეყნით დაინტერესების მაპროვოცირებელი ფაქტორი, ევროკავშირის ქვეყნებში ვიზალიბერალიზაცია იყო, თუმცა მიგრანტებს იზიდავს ისიც, რომ ქართული პასპორტის გამარტივებული წესით აღება შეუძლია საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებულ პირს ან რეპატრიანტის სტატუსის მქონე სუბიექტს. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტს აქვს ექსკლუზიური უფლება, გამონაკლისის წესით მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა უცხოეთის მოქალაქეს, რასაც ხელგაშლილად იყენებდა სააკაშვილი და ასევე წარმატებით იყენებს მარგველაშვილი.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში დამკვიდრების განსაკუთრებული მისწრაფებით, ინდოელებთან ერთად გამოირჩევიან: თურქები, ირანელები, ჩინელები, ერაყელები, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები და აფრიკელი ნიგერიელებიც კი. უფრო მეტიც, ამ ნიგერიელებს თავი ყინჩად უჭირავთ, აგრესიულობითაც გამოირჩევიან და ქუჩურ გარჩევებსაც არ ერიდებიან. მათი ერთ-ერთი თანამოძმე, ვიღაც უგანი ჩი, ეს ქვაბის ძირივით გამურული მიშარასტი (მეორე სახელად მიშა დაურქმევია) თითს გვიქნევს და უტიფრად გვეკითხება: „რა პრიტენზიები გაქვთ თქვენ, ქართველებს, ნიგერიელებთან?!“

ის „პრიტენზიები“ გვაქვს, ჩემო იმანო, რომ თქვენ, ნიგერიელები (და არამარტო), ჩემი წინაპრების სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობას არ მაძლევთ და სტუმრისთვის შეუფერებლად იქცევით!

ქართველი კაცი ჯორივით მომთმენი კია, მაგრამ თუკი მის ღირსებას შეურაცხყოფენ, გვარიანი შემოლაწუნებაც იცის! ასეთი ნიუანსების ცოდნა საყველპურო ქართულის ცოდნასთან ერთად, სავალდებულო უნდა გახდეს ყველა იმ მიგრანტისთვის, ვისაც საქართველოში დამკვიდრება განუზრახავს!

ტოლერანტობასა და ჰუმანურობაზე მენტორული ტონით ნუ მელაპარაკებიან ის ევროპელები, რომლებსაც სულ რაღაც 150 წლის წინათ გილიოტინა ედგათ ცენტრალურ მოედანზე და საკალანდე ღორებივით აჭრიდნენ თავს საკუთარ მოქალაქეებს, მათ შორის მეფეებსაც კი. ნურც ის ამერიკელები დამიწყებენ ქსენოფობიასა და ჰომოფობიაზე ლექციების კითხვას, ვისაც ინდიელთა რეზერვაციებითა და შავკანიანთა გეტოებით ჰქონდა მოფენილი ამერიკის სამხრეთი რეგიონები.

ნაბუქოდონოსორის დროიდან მოყოლებული, მთელი 26 საუკუნე ღვიძლ ძმასავით რომ გვყავდა ჩახუტებული ებრაელები და თავი უხერხულად რომ არ ეგრძნოთ, ქართველ ებრაელებს ვეძახდით, ამის შესახებ არაფერი გსმენიათ?!

მე, როგორც ახლანდელი ხელისუფლების გულშემატკივარი, მაძსიმალურად ვერიდები მკვეთრი შეფასებების გაკეთებას, მაგრამ იმ წრეგადასულ ლიბერალიზმს, რასაც ხელისუფლება უცხოელების მიმართ იჩენს, ტოლერანტობის კი არა, იდიოტიზმის ელფერი უფრო დაჰკრავს და, ალბათ, უკვე დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

ქართველები რომ ყოველთვის თავის მართლების რეჟიმში ვართ და უცხოელებთან შედარებით დაბეჩავებულად გამოვიყურებით, ამის საილუსტრაციოდ, კიკბოქსინგში საქართველოს ჩემპიონის თეა სირაძის მაგალითიც გამოდგება, რომელსაც სააკაშვილის ჯიბის სასამართლომ ლამის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა – 28 წლით გამოკეტა ციხეში. ამ

ახალგაზრდა ქალბატონის, 4 შვილის დედის დანაშაული ის იყო, რომ მან ხუთი მოძალადე ინდოელი მამაკაცი ისე სცემა, ძვალი და რბილი გაუერთიანა და ამით ქართველი ქალის ღირსება დაიცვა.

2017 წლის 6 ივლისის აქტით მარგველაშვილმა თეა სირაძე 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ კი შეიწყალა, მაგრამ იმ გათავხედებულ ინდოელებს მოსთხოვა ვინმემ პასუხი?

– ვისაც წაუკითხავს, რას აკეთებდა ჩვენი ყველაზე დიდი მეფე, თავში აზრად არ მოუვა, აღმაშენებლის პროსპექტზე უცხოელებს დაედევნოსო, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. არათუ მას, ვისაც წაუკითხავს „რას აკეთებდა ჩვენი ყველაზე დიდი მეფე“, არამედ ვისაც არ წაუკითხავს, იმასაც კი თავში აზრად არ მოუვა, აღმაშენებლის პროსპექტზე ან ბამბის ქუჩაზე უცხოელებს დაედევნოს, თუ თავისი ქცევით იმ უცხოელმა თავხედურად არ გამოიწვია და დაუკრეფავში არ გადავიდა!

აღმაშენებლის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის ქუჩებში ქართული ყოფის მიზანმიმართული ამოძირკვის შეუქცევადი პროცესი მიმდინარეობს და იქაურობა შაითან-ბაზარს ემსგავსება. აღარაფერს ვამბობ აჭარასა და ბათუმზე, რომელსაც თურქეთი საკუთარ „ვილაიეთად“ თვლის!..

შემაშფოთებელი იყო ბატონი ჰამლეტ ჭიპაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ აჭარაში 150 მოქმედი მეჩეთია, მართლმადიდებლური ტაძარი კი მხოლოდ – 45!

დავით აღმაშენებლის დამოწმება, გაგიხარიათ, კარგი რამ იყოს, მაგრამ მისი მოღვაწეობის რელიეფურად წარმოჩენა უფრო წაადგებოდა ქართულ საქმეს, ვიდრე კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული ეპიზოდები წაგვიკითხავს და ვიცით, რომ დავითი „მშვიდი და ღმრთივ – განბრძნობილი, ბოროტად არ მიდრეკილი იყო“, თუმცა სიმშვიდეს ინარჩუნებდა იმ დროით, რამდენიც „კმა უნდა ყოფილიყო განსწავლად გონიერისა ვისიმე“. სხვა შემთხვევაში, ისეთი განრისხება იცოდა მეფემ, მტრისას და ავისას! რუის-ურბნისის კრების დადგენილებით, გარყვნილ-გათახსირებულ მღვდელმსახურებს ქუსლები რომ დააჭრეს, გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, თითქოსდა საეკლესიო ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას მეფესთან შეუთანხმებულად მიიღებდა.

დავითი გარემოების შესაბამისად მოიქცა და გაუმართლებელი ლმობიერება სხვა შემთხვევაშიც არ გამოუჩენია. კერძოდ, როცა „აიღო მეფემან ტფილისი, ოთხას წელ ქონებულ სპარსთა... წაართვა ეშმაკსა და შეუსაკუთრა ღმერთსა“, იქ ისეთი საშინელი სურათი ნახა გადაგვარებულ-გაუცხოებული ხალხის სახით, ამ ადამიანების გაუბედურების მოთავე 500 სპარსელი, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით, უცხოელი, სარებზე ჩამოაცვა.

უცხოელებისა და სხვა რელიგიური კონფესიებისადმი შემწყნარებლობაზე როცა ვლაპარაკობთ, ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რამდენად შემწყნარებლურია ესა თუ ის რელიგია ქრისტიანებისადმი. მაგალითად, ყურანი ასე მოუწოდებს ისლამის მიმდევრებს: „და იბრძოლეთ მათ მიმართ მარად ჟამს, ვინც არ იწამა ალლაჰ, არც დღეი განკითხვისა, არც რწმენა ჭეშმარიტი, ვიდრემდის იგინი არ გაიღებენ თავმოდრეკილად ხარკს“.

ამის საპირისპიროდ, მათეს სახარება გვასწავლის: „გიყვარდეთ მტერნი თქუენი და აკურთხევდით მაწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდნენ თქუენ და გდევნიდნენ თქუენ“.

– XXI საუკუნეში არ მესმის, რას ნიშნავს ეთნიკური ქართველიო, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. ეთნიკური ქართველი, ქალბატონო სალომე, სულით ხორცამდე ქართველს ნიშნავს, აი ისეთს, რომელსაც შეუძლია თქვას: „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევია აქ სიკვდილი“, ან, „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო“, ან კიდევ, „დავბადებულვარ რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი...“

ეთნიკური ქართველი იყო გალაკტიონი, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი რომ დადიოდა, მერე კი ზეცას ახედავდა და პოეტური შთაგონებით შესძახებდა: „შეხედეთ, რა ცაა, ესა, რაცაა!“

ეთნიკური ქართველი იყო ექვთიმე თაყაიშვილი, ხანგრძლივი ემიგრაციიდან დაბრუნებული მშობლიურ მიწას რომ ეამბორა ღვთაებრივი მოწიწებით. ეთნიკური ქართველები იყვნენ ძაღლთაპირი შაჰ აბასის მშობლიური სანახებიდან აყრილი კახელები, ხელსახოცში გახვეული თითო მუჭა მიწა რომ მიჰქონდათ სასოებით. ამას ჩინელი, ინდოელი ან მესოპოტამიელი არ გააკეთებს (ვერც მოიფიქრებს), იმიტომ, რომ ქართული მიწა მისთვის ჩვეულებრივი ნიადაგია, რომელზეც მოსავალი მოჰყავს, ეთნიკური ქართველისთვის კი – დედამიწაა, ანუ იმდენად ძვირფასია მისთვის, დედასთან ასოცირდება!

როცა გვარამიას პანდორას ყუთის მოციქული ეკა კვესიტაძე იქედნურად კითხულობს, ვერ გავიგე, რას ნიშნავს, ტრადიციებს გვართმევენო, ხომ უნდა აუხსნას ვინმემ, რომ წართმევა მაინც-დამაინც ხელების გადაგრეხით ან ყაჩაღობით არ ხდება. წართმევაა ისიც, როცა გაიძულებენ, შენი ნების საწინააღმდეგოდ უარი თქვა იმაზე, რაც ძალიან გეძვირფასება, მერე კი მისი დაბრუნების სურვილი გკლავს.

„მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას,
რაც ჩემი ნებით არ დამითმია“!
(ოთარ ჭილაძე).

გულწრფელად მიხარია, რომ აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გააქტიურდნენ პატრიოტულად განწყობილი ძალები. ამ მოძრაობაში ტონის მიმცემი არის უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი, რომლის მკვეთრი განცხადებები აღტაცებას იწვევს. მისი ინიციატივით უნგრეთის მთავრობაში ქრისტიანობის დაცვის სამინისტროც კი შეიქმნა, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნული ღირებლებების დაცვისკენ მიმართულ ღონისძიებებზე. ორბანთან შეხვედრის შემდეგ, მისმა ბულგარელმა კოლეგამ ბოიკო ბორისოვმაც განაცხადა, რომ ბულგარეთის პარლამენტი აუცილებლად გაამკაცრებს ანტიმიგრაციულ კანონმდებლობას, რათა თავიდან აიცილონ მიგრანტებთან დაპირისპირების ნიადაგზე წამოჭრილი ექსცესები.

სასიკეთო ძვრები შეინიშნება პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, ხორვატიაში, მაკედონიაში...

კიდევ უფრო შორს წავიდა აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომლის დევიზია „ამერიკა ამერიკელებისთვის!“ ტელეკომპანია CNN-მა გავრცელა მისი სენსაციური გამონათქვამი, რომ „ამერიკას არ სჭირდება ბინძური ემიგრაცია“, ემიგრანტებს კი „ბინძური ხვრელიდან გამოსულები“ უწოდა.

ტრამპის დაჟინებული მოთხოვნით კონგრესში განიხილება შეღავათიანი ლატარიის „გრინ ქარდის“ გამკაცრების საკითხიც, რაც „მესამე სამყაროს“ წარმომადგენლებისთვის „მწვანე ბარათის“ გათამაშებაში მონაწილეობის შეზღუდვას გულისხმობს. ყოველივე ამის შემდეგ, მე ისღა დამრჩენია, ილიასავით მამაზეციერს შევღაღადო: **„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულში!“**

საქართველოში ახლახან ვიზიტად მყოფი გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, აუცილებლად განიხილავდა მიგრანტთა კვოტირების საკითხს, რომელიც სავალდებულო წესით ვრცელდება ევროკავშირის ქვეყნებზე და უთუოდ გავრცელდება ჩვენზე, როგორც ასოცირებულ წევრზე. ყველაზე მთავარი გამოწვევა ქალბატონი მერკელისთვის სწორედ მიგრანტებთან დაკავშირებული უკონტროლო სიტუაციაა. 2016 წლის საახალწლო ღამეს, კიოლნის საკათედრო ტაძრის მოედანზე შეკრებილ ათეულათასობით გერმანელს თავს დაესხა მიგრანტთა გავეშებული ბრბო. გააუპატიურეს ასამდე ქალი, მათ შორის, ხანდაზმულებიც კი, რაც იმის მაუწყებელია, რომ რისკის ქვეშაა ყველა ასაკობრივი ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინციდენტის დროს სამართალდამცავი სტრუქტურების არაადეკვატურმა მოქმედებამ საგრძნობლად შეარყია ხელისუფლების იმიჯი, ქალბატონმა მერკელმა მოთმინებით გადაყლაპა ეს დამამცირებელი აბი და მიგრანტების დეპორტაციაზე კრინტი არ დაუძრავს. სამაგიეროდ, იხეირა ბიზნესმა. კრეატიულმა ბიზნესმენებმა გამძლე ქსოვილისგან დაიწყეს სპეციალური ტრუსების დამზადება, რომელიც ამავდროულად აღჭურვილია 120 დეციბალის სიმძლავრის სიგნალიზაციით!

ობიექტური შეფასებებით ცნობილი პოლიტოლოგი და ექსპერტი კავკასიის საკითხებში ბატონი მამუკა არეშიძე თვლის, რომ საქართველო ირანელებისთვის სექსტურიზმის თვალსაზრისით გახდა მიმზიდველი ქვეყანა. ისინი ღამის კლუბების შირმით ხსნიან ბარ-ბორდელებს, ვიდეოზე იღებენ სექსუალური ხასიათის ორგიებს და მიზანმიმართულად ავრცელებენ პორნოსაიტებზე, რათა მსოფლიოს აჩვენონ თუ როგორი აღვირახსნილები არიან „გურჯი ხათუნები“.

თავმოყვარე ქვეყანა ასეთ შეურაცხყოფას არ მოითმენდა, მაგრამ ჩვენ, ვიღაც უხილავი მენტორის მითითებით, მისჯილი გვაქვს „თმენის ვალდებულება“.

იგივე ირანის სულიერმა ლიდერმა ალი ხამენეიმ საერთოდ აბუჩად აგვიგდო, როცა ასეთი რამ განაცხადა: „იმან, რასაც ზოგიერთი ირანში აკეთებდა, დასავლეთი შეცდომაში შეიყვანა. მათ იფიქრეს, რომ ირანი საქართველოს ჰგავს... ამერიკელ სიონისტ ინვესტორებს, ამ სულელებს ეგონათ, რომ ისლამური რესპუბლიკა – ეს დიდი ერი – ისეთივეა, როგორც საქართველო. რა ქვეყანას ადარებენ ირანს?“

დარწმუნებული ვარ, დაახლოებით ასე ფიქრობენ საქართველოზე რეგიონის სხვა ქვეყნების ლიდერებიც, რომელთაგან ზოგი ჩვენი „ისტორიული მეგობარია“ და ზოგიც ისტორიული მტერი, მაგრამ ამის მიუხედავად, ყველა ამ ქვეყნების მოქალაქეები თბილისისკენ მოისწრაფვიან და ამ ქალაქში უკვე ძაღლი პატრონს ვერ სცნობს:

მაჰათმა განდი ამბობდა, ერი არ მოკვდება, თუ თავს არ მოიკლავსო. ჭკვიანი კაცი იყო განდი და იცოდა, რასაც ამბობდა, ამიტომ ყურად უნდა ვიღოთ.

ლეგიტიმიზმი, როგორც პოლიტიკური პრინციპი, ტალეირანმა დაამკვიდრა ვენის 1814-1815 წლების კონგრესზე. რაც შეეხება სათაურში გატანილ ამ ტერმინს, ვინმეს განსახილველ თემასთან შეუსაბამოდ რომ არ მოეჩვენოს, მცირე განმარტებას გავაკეთებ: ლეგიტიმიზმის პრინციპი გულისხმობს ფუნდამენტურ დებულებას, რომ ვერავინ დაეპატრონება ტერიტორიას მანამ, სანამ კანონიერი მფლობელი არ განაცხადებს მასზე უარს.

ბატონო ხელისუფალნო, ნუ იტყვით უარს იმ ტერიტორიაზე, რომლის მოვლა-პატრონობის მანდატი მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოგცათ და, ამ შემთხვევაში, ლეგიტიმიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ვერავინ დაეპატრონება ჩვენს ქვეყანას.

თეიმურაზ ჯანელიძე
წყალტუბო

მამუკა ბახტაძე: დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩვენ არასოდეს გვქონია ასეთი მძლავრი საშუალება, მოგვეხდინა ჩვენი კულტურის პოპულარიზაცია ევროპაში

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს თემატური სტენდების გახსნის შემდეგ განაცხადა.

„საქართველო რამდენიმე სტენდით არის წარმოდგენილი, ამასთან ერთად, ჩვენ გვაქვს სპეციალური პავილიონი, რომელიც ეძღვნება მხოლოდ საქართველოს — ჩვენს კულტურას, ლიტერატურას, ფოლკლორსა და მეცნიერებას. წარმოდგენილია სტენდები, სადაც საშუალება გვეძლევა, მოვახდინოთ ჩვენი ღვინის პოპულარიზაცია. ევროპამ ოფიციალურად აღიარა, რომ სწორედ საქართველოა ღვინის სამშობლო და ჩვენ 8000 წლის წინათ დავიწყეთ ღვინის კეთება, რაც ევროპულ ცივილიზაციაში საქართველოს მიერ შეტანილი ძალიან მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა.ამას ყველა აღიარებს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მამუკა ბახტაძემ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნის — საქართველოს თემატური სტენდები მთავრობის მეთაურმა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორ იურგენ ბოსსა და საქართველოს დელეგაციის წევრებთან ერთად დაათვალიერა. სტენდების პავილიონში წარმოდგენილია წიგნის ცენტრის და ქართველი გამომცემლების, მეცნიერების, ინოვაციების სააგენტოს, სახელოვნებო, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სტენდები.

საქართველოს თემატური სტენდები ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის სტუმრებს არაერთ ენაზე ნათარგმნ ლიტერატურას სთავაზობს, რომლის გაცნობის შესაძლებლობა დამთვალიერებელს კვირის ბოლომდე ექნება.

აკა მორჩილაძე: არსებობენ კულტურები, რომლებიც საოცრებების წყალობით მოვიდნენ აქამდე, ბედნიერებაა, რომ ასეთ კულტურას წარმოადგენ

მრავალ სიკვდილ-სიცოცხლეში არსებობენ კულტურები, რომლებიც საოცრებების წყალობით მოვიდნენ ოცდამეერთე საუკუნემდე, ბედნიერებაა, რომ ასეთ კულტურას წარმოადგენ, — ამის შესახებ მწერალმა აკა მორჩილაძემ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნაზე განაცხადა.

მისი თქმით, არსებობს დავიწყებული კულტურები. არსებობს ასევე კულტურები, რომლებიც მკვდარია, მაგრამ ცხოვრობენ უნივერსიტეტებში მეცნიერების მოწადინებით. არსებობს დიადი კულტურები, რომლებიც აღარც მაგალითად სჭირდება ვინმეს, რადგან ძალიან მაღალი სტანდარტი აქვთ და მათდამი მიუწვდომლობის აშკარა სურათი უხერხულობას ქმნის ხოლმე.

მრავალ ასეთ სიკვდილ-სიცოცხლესა და სიიოლე-სირთულეში არსებობენ ძველი, დღევანდელი სამყაროსთვის ან სრულიად უცნობი, ან ერთეულ მოყვარეთათვის ნაცნობი კულტურები, რომლებიც არ მომკვდარან და რაღაც მაღალი საოცრებების წყალობით მოვიდნენ 21-ე საუკუნემდე. ბედნიერებაა, რომ სწორედ ასეთ კულტურას წარმოადგენ და შეგიძლია თქვა ამაზე ორი სიტყვა. განსხვავებული არაფერი, მაგრამ უბრალოდ, ორი სიტყვა.

ეგებ რაღაც შორეული უცნობი კულტურა ვინმესთვის საერთოდ არაფერს არ ნიშნავდეს სამყაროს უმრავლესობისთვის, მაგრამ ქართველებს ასეთი სიტყვა გვაქვს, რაღაცას ვეძახით ბევრ რამეს და ეს მარტო რაღაც არ არის ჩვენთვის, იმიტომ რომ სიცოცხლესაც ნიშნავს.

აი, ასეთ სრულიად უცნობ, უმეტესად პოლიტიკურად გაგებულ საქართველოს ისტორიაში კიდევ ყოფილა უგრძესი პერიოდები, საუკუნოვანი დროები, როცა, ამ ქვეყნის არსებობა-არარსებობას სწორედ მისი კულტურა განსაზღვრავდა. მარტივი რაღაცები, ვთქვათ, ანბანი, რომელიც ვახსენეთ, თქვენ იცით, რომ ჩვენ სხვა ანბანი გვაქვს და ასე შემდეგ...

ეს არის სიმართლე, რომ გითხრათ, ჩემი, როგორც ქართველის ჭკუით, ძალიან ჯიუტი, უცნაური, ჰუმანისტური, მრავალგზის დამახინჯებული, მაგრამ კულტურა გვაქვს, ამას ვეძახით ჩვენ ქართულ კულტურას.

ასეთი ისტორიაა საერთოდ. ძველი, სისხლით და სიმძიმით სავსე. თავის შენახვის და გადარჩენის ამბავია ჩვენი ამბავი საერთოდ. ამ ამბის სიკეთე სხვა არამატერიალურ რაღაცებთან ერთად იყო სწორედ ჩვენი კულტურა.

მოკლედ რომ ვთქვა, დრამით რომ არ დაგღალოთ, არ არის აქ ამის ადგილი, დღეს აქ არის ქართული ლიტერატურა, რომელიც, როგორც იცით, ძალიან ძველია, მრავალი საუკუნის. ჩვენ ვამბობთ — 1500 წლის, ვიღაც მეცნიერები ამბობენ, 2000-ის, 2500-ის... ჩვენ ამ საუკუნეებში ასე ვოპერირებთ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ეს საუკუნეები არ არის პატარა დრო იმისთვის, რომ იმსჯელო, რა არის ღირებული და რა - არა.

როგორც ყველა ლიტერატურა, ქართული ლიტერატურაც ადამიანების გარშემო ტრიალებს.

აი, ის ჩვენი პირველი მოთხრობა, რომელშიც მეხუთე საუკუნის ამბავია აღწერილი, ჩვენ უფრო გვიანდელი ხელნაწერიც გვაქვს, ძალიან გასაგები და სამსჯელო იქნებოდა სამყაროსთვის მაშინაც და ახლაც, სკოლაში ისწავლება ჩვენთან, იმ ენით, რომლითაც დაწერილია მეხუთე საუკუნეში.

ეს არის მოთხრობა ქალზე და კაცზე, ოჯახზე, ერთგულებაზე, პოლიტიკაზე, ღმერთზე, რწმენაზე, პატიოსნებაზე, ათას რამეზე. ეს ყველაფერი ისეა აღწერილი, რომ იოლად მიხვდები, ადამიანის გულში



და სულში ეს თხუთმეტი საუკუნეა, არაფერი დიდად არ შეცვლილა.

თქვენ იცით, რა თქმა უნდა, რომ ჩვენი ამ კულტურის მეორე ნაწილი არის ანბანი, რომელზეც ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, ამით ვწერდით ჩვენ წიგნებს ქართველები.

ეს არის ფუფუნება, ასეთი რაღაც რომ გაქვს ადამიანს. თქვენ უყურებთ გაოცებული და ჩვენ ვკითხულობთ. ამ დროს ჩვენ თქვენსას იოლად ვკითხულობთ, ეს უპირატესობა გვაქვს დამალული.

საუკუნეები ჩვენ ვთარგმნიდით ძალიან ბევრი ენებიდან, განსაკუთრებით აღმოსავლური ენებიდან. ჩვენ არ გვთარგმნიდა არავინ. წარმოიდგინეთ ეს უპირატესობა, ჩვენ ვკითხულობდით ყველაფერს და თქვენ არ კითხულობდით არაფერს ჩვენსას. ჩვენ ვიცით ძალიან ბევრი რაღაც, არაბული, სპარსული, სომხური და ჩვენ ვთარგმნიდით, სანამ შეგვეძლო, სანამ მშვიდობა იყო.

მოკლედ, ჩვენ ამ ანბანით ვწერთ პროზას, ისტორიასაც ვწერთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საქართველო არის პოეზიის ქვეყანა. აქ პროზაიკოსი რომ გამომიყვანეს, ვარ უხერხულ მდგომარეობაში. მე არ ვარ პირველი კატეგორიის ადამიანი ამ ხელობაში, რასაც მწერლობა ჰქვია. ჩვენი ქვეყანა არის პოეზიის. ხუმრობაა ძველ წიგნებში დარჩენილი, რომ რომანის წერას უნდა დრო, მაგიდა, ქაღალდი, დაჯდომა, ფიქრი... ამ დროს ომია, უბედურებაა და ლექსი იწერება მუხლზე დადებულ ქაღალდზე. უცბად. აი, ეს შეინახება.

უნდა გითხრათ, რომ ჩვენთან ისტორიულ ქრონიკებსაც ლექსად წერდნენ. რომანებსაც წერდნენ ლექსად, სახელმწიფო ქაღალდები გვაქვს ჩვენ ლექსად დაწერილი. ხეებზე, ცხვირსახოცებზე, სასმისებზე, მერხებზე, ეს არის უცნაური ტრადიცია, რომელიც ახლა რომ გითხრათ, მეტ შრომას მოითხოვს, ვიდრე პროზის წერა, პროზა ისეთია — დაჯექი და ცოტა მოცლილი ადამიანის საქმეა.

სტანდარტი ასეთია, პოეზია მაღალია. პოეზიით ცხოვრება ვიცით, რაცაა — კიდევ უფრო მაღალია.

სულ ბოლო დრომდე პოეტი ისეთი ფიგურა იყო საქართველოში, რომელიც ადამიანს საკუთარი არსებობის სიხარულსა და განუმეორებლობაში არწმუნებდა. არწმუნებდა იმაში, რომ მისი ფიქრი მართალი, წრფელი ფიქრია და ხელოვნება დიადი რამეა. შენ იცოდი, რომ თვითონ არ შეგიძლია, მაგრამ არსებობს ადამიანი, რომელიც შენს ნაცვლად შენს ფიქრებს გამოხატავს, გადმოწერს, გამოიცნობს, და ამას მეტი სისრულით და ოსტატობით აკეთებს.

პოეტი ისეთი ვინმე იყო ქვეყანაში, რომ ოცსაუკუნოვანი ლამის აბსოლუტური მონარქიის ტრადიცია აქვს ამ ქვეყანას და საქართველოში ჩვენ გვყავს უამრავი მეფე, რომელთა საუკეთესო მიღწევაც არის მათი პოეზია. მათი პირველი სახელი არის პოეზიით და არა პოლიტიკით. ასეა, არ ემთხვევა რაღაცები, მაგრამ რა ვქნათ.

საქართველოს გაცნობა, რა თქმა უნდა, შეიძლება იქ მოგზაურობით, მაგრამ მაინც ჯობს, ქართულმა ლიტერატურამ მოგახსენოთ თავისი ძველი და უცვლელი სათქმელი, იმის თაობაზე, რომ სიყვარული, მეგობრობა, სირთულეები, სიკვდილი და სიცოცხლე, ომი და მშვიდობა, ტკივილი და სილაღე, იუმორი და ტრაგედია ისევე არის ჩვენი ცხოვრების ნაწილი, როგორც თქვენი და ამაზე ლაპარაკი და თხრობა ისე შეგვიძლია, როგორც ბევრს არავის დედამიწის ზურგზე. ამის მრავალსაუკუნოვანი, სამყაროსთვის უცნობი ტრადიცია გვაქვს. ჩვენი ლიტერატურა ჩვენი აღსარებაცაა, ჩვენი ოცნებაცაა და ა.შ.

ახლა ასე ლამაზადაც არაა მთლად. რადგან აქ ვართ დღეს, უნდა გითხრათ, რომ პოეტები და მწერლები ყოველთვის უპირატესი და საყვარელი გმირები იყვნენ საქართველოში. ყოველთვის იყვნენ, როგორც დღეს ამბობენ ხოლმე, ცნობადი სახეები. მაგრამ ამას მათთვის არც ყოფითი ნუგეში მოუტანია, და მათ ხელობას არასოდეს არ დაუცავს ძნელბედობისგან.

როგორც სამოცდაათი ან ორასი წლის წინათ, დღესაც ქართველი მწერალი შეიძლება გადაყვეს თავის ნაწერს, თავის შემოქმედებას, ან აქაც არაშემოქმედებითი გამოსავალი ეძიოს, ან უცხოეთს შეაფაროს თავი, შეიძლება მუშტიც მოხვდეს, შეიძლება ქუდიც ჩამოიფხატოს, რომ საზოგადოების გულისწყრომას რაღაცნაირად მოერიდოს. აი, ამ დიდი ისტორიული, როგორ გითხრათ, დამანგრეველი თუ აღმაშენებელი ქარტეხილების მიუხედავად, აი, ამ უბედური ამბების მიუხედავად, მწერალი მაინც რჩება საქართველოში გამორჩეულ ფიგურად, ეს ისეთი ადამიანია, რომელიც ყოველთვის იქ არის, სადაც ყველა არასდროს არ არის და ამავე დროს იქ არის, სადაც ყველა ყოველთვის მოიყრის თავს. აი, ეს არის ჩვენი, ქართველი მწერლების ამბავი. უფრო ბევრიც შეიძლებოდა, მაგრამ მაპატიეთ, ბოდიში“...

გაზეთის მორიგ ნომერში შემოგთავაზებთ გერმანულენოვანი ქართველი მწერლის ნინო ხარატიშვილის გამოსვლას ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე.

◎ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲐᲑᲐᲓᲘᲜᲘ

ᲓᲐᲖᲔᲚᲕᲐᲪ, ᲡᲘᲪᲘᲕᲔᲪ, ᲚᲐᲑᲐᲪ...

ᲗᲣᲙᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ

ᲗᲘᲗᲘᲫᲛᲘᲡ ყველა ასაკოვანს სახსრებთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აქვს — ჭარბი წონა, ფეხზე დიდხანს დგომა, არასწორი ფიზიკური დატვირთვა, ანდა მათი არარსებობა, ტრავმები, გენეტიკური მიდრეკილება — ყველა ეს გარემოება სახსრების „მუშაობის“ ვადას საგრძნობლად ამცირებს.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ 50 წლის ასაკში სახსრები, ფაქტობრივად, ყველა ადამიანს უსუსტდება. უფრო ხშირია მუხლის სახსრების ტრავმები, რადგან სწორედ მათზე მოდის ყველაზე მეტი დატვირთვა, მაგრამ დიდი სახსრების — თეძოს, მუხლის, წვივის, მხრის — **დაავადებათა უმეტესობა ნივთიერებათა ცვლას უკავშირდება**. ასაკის მატებასთან ერთად ნივთიერებათა ცვლა ნელდება, სახსრების აგებულებაში შემავალი ხრტილების კვება უარესდება, რის გამოც ისინი გაცილებით სწრაფად ცვდება. შედეგად კი მოძრაობის დროს ტკივილები წარმოიშვება, ამ დროს ადამიანი მტკივან სახსარს უფრთხილდება და ნაკლებს მოძრაობს, რაც კუნთების დასუსტებასა და ტკივილის გამძაფრებას იწვევს. ამიტომაცაა, რომ **სამკურნალო** ფიზკულტურა ტკივილის მოხსნის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

კარგი ხერხია ასევე **სახსრების თვითმასაჟი**: ხელით მოსინჯეთ და იპოვეთ მტკივანი წერტილი და საგულდაგულო მოძრაობით დაიზილეთ ცხრაჯერ საათის ისრის მიმართულებით და ამდენჯერვე მის საწინააღმდეგო მიმართულებით. მტკივან ადგილს თითების დაჭერა საკმაოდ ძლიერად უნდა, რათა ტკივილი იგრძნოთ. ასეთი მასაჟი სახსრის ჩანთაში სისხლის ნაკადის სიმძლავრეს გაზრდის,

მაშასადამე სახსრის სითხის მეტი ოდენობით წარმოშობას გაუმჯობესებს, რის შედეგად სახსარი სიხისტეს დაკარგავს და შერბილდება.

სახსრების ტკივილის მკურნალობა სიცივით შეიძლება, რომელიც მასაჟის მსგავსად, მათ შიდა ქსოვილებში სისხლის მიწოდებას აძლიერებს. ამის მიზეზი ისაა, რომ როცა ორგანიზმი სიცივეს გრძნობს, ის გაციებული ადგილის გახურებას იწყებს სისხლის მიკროცირკულაციის მეშვეობით, თანაც ეს რეფლექსი, მაგალითად, მუხლის სახსარში, დაახლოებით სამი საათის, ხოლო თეძოს სახსარში — მთელი დღე-ღამის მანძილზე მოქმედებს. სახლის პირობებში **ამის გასაკეთებლად აიღეთ ყინულის ნატეხი და დაახლოებით ერთი წუთი სახსრის თავზე კანი წრიული მოძრაობებით დაამუშავეთ. შემდეგ კანი აუცილებლად გაიმშრალეთ პირსახოცით, რათა ჰაერმა არ დაუბეროს. ამ პროცედურის გამეორება დღეში 5-ჯერ შეიძლება..**

სახსრებში ტკივილის დროს ასევე სასარგებლოა ისეთი ფიზიკური ვარჯიშები, რომელთა დროს სახსრების მიმდებარე კუნთები მუშაობენ, ოღონდ ისინი ისეთი სახეობისა უნდა იყვნენ, რომ მათზე ღერძულა დატვირთვა არ იყოს. ასეთებია — ხტუნვა, ჩაჯდომა, კიბეზე ასვლა და სხვა, რომლებიც კარგია მხოლოდ პროფილაქტიკური თვალსაზრისით, ხოლო თუკი ტკივილი მაინც გაგიჩნდათ, მაშინ, ვთქვათ, ფეხის სახსრების დასამუშავებლად, ვარჯიშები დაწოლილმა უნდა შეასრულოთ. გარდა ამისა, სახსრების ტკივილის დროს დიდად სასარგებლოა ცურვა.

რაც შეეხება კვების რაციონს, სახსრებს უხდება დიდი ოდენობით ცილის შემცველი სურსათი, მაგალითად, ხიზილალა, მეფუტკრეობისა და ლაბოვანი პროდუქტები, ე.წ. „ხალადეცი“. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჭარბი წონა სახსრებს ზედმეტად ტვირთავს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ **თვითმკურნალობის დაწყებამდე დიაგნოზის დასადგენად აუცილებლად მიმართეთ ექიმს და პროცედურები მხოლოდ მასთან კონსულტაციის შემდეგ ჩაიტარეთ.**

ᲡᲘᲫᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ

ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲝᲑᲘᲗᲘ გონებასისუსტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია ალცჰაიმერის დაავადება, რომელზეც მეხსიერების მოშლის 60-80 პროცენტი მოდის. ამ უკურნებელი სენით დაავადდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის მეუღლე ნენსი რეიგანი, მას ბევრი სხვა ცნობილი პიროვნებაც ემსხვერპლა. სპეციალისტები დარწმუნებულები არიან — ამ მძიმე სენის შემთხვევათა რიცხვი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, რომ არა გავრცელებული მრავალი მცდარი შეხედულება, რომელიც ხელს უშლის მის დროულად გამოვლენას.

მართალია, ალცჰაიმერის სნეულება ადამიანის ასაკთან არის დაკავშირებული, რაც უფრო ხნოვანია ადამიანი, მით უფრო მაღალია მისი შეყრის რისკი. ვთქვათ, თუკი ეს დაავადება 67-70 წლის ასაკში მხოლოდ 5 პროცენტს აქვს, 90 წელს გადაცილებულთა შორის 45-50 პროცენტი ავადდება, მაგრამ ამ ავადმყოფობას ზოგჯერ ადრეულ — 53-54 წლის ასაკშიც უჩივიან. თანაც მეხსიერების დარღვევა გაცილებით სწრაფად ვითარდება, ვიდრე ეს უფრო ასაკოვან ხალხში ხდება.

სიმართლეს არ შეესაბამება ის აზრიც, რომ ალცჰაიმერის დაავადება მემკვიდრეობით გადაიცემა. სინამდვილეში ეს შემთხვევათა მხოლოდ 10 პროცენტში დგინდება, დანარჩენები სპონტანური ხასიათისაა.

არც ის შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს ალცჰაიმერის დაავადება თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება, ადამიანი მყისიერად ვეღარ ცნობს ახლობლებს, უმალ ავიწყდება ჰიგიენის ელემენტარული ჩვევები. სინამდვილეში ეს სიმპტომები სნეულების გვიანდელ სტადიაზე იწყება, მისი ყველაზე ადრეული ნიშანი კი მიმდინარე მოვლენებზე მეხსიერების ხარვეზების წარმოშობაა. თან ამ დროს ადამიანს მშვენივრად ახსოვს დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბები, რითაც საკუთარი თავიც და ახლობლებიც შეცდომაში შეჰყავს, ყველას ჰგონია, რომ ეს ყოფითი გულმავიწყობა, სიბერის განუყრელი თანამგზავრია. არადა, მეხსიერების ხარვეზების გარდა, ადამიანს შესაძლოა დაეწყოს ძილის დარღვევები, დეპრესია, შემდგომ კი ყოფაქცევის აშლილობებიც — აგრესია, აკვიატებული აზრები, არასაჭირო ნივთიერების შეგროვების მანია და სხვ.

ასევე არ არის მართებული აზრი იმის თაობაზე, რომ ალცჰაიმერის ობიექტური დიაგნოსტიკა არ არსებობს. ასეთი ხერხი ნამდვილად არის და მას **ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება** ეწოდება. ვთქვათ, სპეციალისტი პაციენტს ეუბნება, რომ 100-ს გამოაკლოს 7, ან თარიღის დასახელებას, ან რაღაც გეომეტრიული ფიგურების დახატვას, ტვინის მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია ამ დროს დამხმარე როლს ასრულებს.

ცხადია, არსებობს უფრო სპეციფიკური გამოკვლევებიც, მაგალითად, პოზიტრონსულემისიური ტომოგრაფია, ზურგის ტვინის პუნქცია. არც ის შეესაბამება სიმართლეს, თითქოს ალცჰაიმერის ავადმყოფობისგან არ იღუპებიან. სათანადო მკურნალობის არარსებობის შემთხვევაში, პირველი სიმპტომების გამოვლენის დროიდან დაწყებული, მეხსიერებაზე პასუხისმგებელი უჯრედები შვიდი წლის განმავლობაში იღუპებიან. ავადმყოფობის მომდევნო ეტაპზე კი ადამიანები დაუხმარებლად ლოგინიდანაც ვეღარ დგებიან. ევროპაში ეს სენი (ინფარქტებისა და ინსულტების შემდეგ), სიკვდილიანობის მაჩვენებლით, მესამე ადგილზეა და ამ მხრივ ავთვისებიან სიმსივნეებსაც კი უსწრებს.

ბოლოს კი იმის თქმაა აუცილებელი, რომ **ალცჰაიმერის სნეულება უკურნებელი** არ არის. თანამედროვე დიაგნოსტირებისა და ანტიდეგენტური პრეპარატებით მკურნალობის პირობებში, შესაძლებელია ავადმყოფობის განვითარების საგრძნობლად დამუხრუჭება.

მოამზადა
ᲜᲘᲜᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲛ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲝᲥᲣᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲩᲘᲕᲘᲡ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანი ზაზა ოქუაშვილს უჩივის. აღნიშნული ინფორმაცია ჟურნალისტებს ყიფიანის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ მიაწოდა.

„ორშაბათს შეგვაქვს საჩივარი პროკურატურაში ბატონი ოქუაშვილის წინააღმდეგ ბატონი ლევან ყიფიანის მიმართ თაღლითური ქმედების ფაქტზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების მითვისებასთან დაკავშირებით.

ასევე, შევიტანთ სამოქალაქო სარჩელს პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებით. შესაძლოა, მესამე დოკუმენტზეც იყოს საუბარი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს შეეხება. ამის შემდეგ პრესკონფერენცია ჩატარდება“, — აცხადებს ხაჭაპურიძე.

ის საუბრობს, თუ როგორ არ გადაუხადა თაღლითურად ოქუაშვილმა ყიფიანს გაწეული სამსახურისთვის გასამრჯელო.

„ბატონმა ოქუაშვილმა სთხოვა ლევან ყიფიანს ჩართულიყო ბიზნესპროექტში. კერძოდ, „ბეემვეს“ მარკის ავტომობილების ჩინეთში გაყვანასა და გაყიდვაში, რაზეც ბატონმა ლევან ყიფიანმა გარკვეული სამუშაოები გაატარა, სხვა პარტნიორებისგან აიღო გარკვეული ვალდებულებები. ამის შემდეგ საქმეში ჩართო ქართველი ბიზნესმენი, რომლის სახელს და გვარსაც ამ დღეებში გავაჟღერებთ. ლევან ყიფიანმა და ამ ბიზნესმენმა უზარმაზარი სამუშაო გასწიეს. თურქეთიდან ჩინეთში ჩაყვანილი იქნა 50 „ბეემვეს“ მოდელის მანქანა, რომლებიც გაიყიდა. ამ ბიზნესმენმა რაღაც ნაწილი თავისი გაწეული სამუშაოსი მიიღო, დანარჩენი ვერა და როგორც ვიცი, ამაზე სარჩელით დავობს სასამართლოში. ხოლო ყიფიანმა, ოქუაშვილის თაღლითური ქმედების შედეგად, ვეღარ მიიღო ვერცერთი თეთრი. ამის შემდეგ მას ოქუაშვილი შეჰპირდა „ბეემვეს“ ტიპის 3 ავტომანქანის გადაცემას ამ დავალიანების გასასტუმრებლად, რაზეც ჩანაწერებშიც იყო საუბარი. თუმცა, ეს მანქანები ყიფიანისთვის დღემდე არ გადაუცია“, — აცხადებს ხაჭაპურიძე.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ 23-Ე ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ რკინიგზის 23 ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის განცხადებით, დილით, დაახლოებით ათ საათზე მეცხრე გვირაბის აღმოსავლეთ პორტალთან (ქვიშხეთის სამშენებლო უბანი) „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფი ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და უსაფრთხოების აღჭურვილობის გარეშე, უნებართვოდ შეიჭრა სამშენებლო მოედანზე, სადაც აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და სპეციალური უსაფრთხოების აღჭურვილობის გარეშე შესვლა აკრძალულია.

„ჩვენი კომპანიის თანამშრომლების მიერ, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, გადამღებმა ჯგუფმა მაინც არ დატოვა ტერიტორია და პროვოკაციული გზით შეეცადა ჩვენი კომპანიის თანამშრომლებთან კონფლიქტში შესვლას. ვწუხვართ მომხდარის გამო, ჩვენი მიზანი დახურულ სამშენებლო მოედანზე ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. მზად ვართ, ვითანამშრომლოთ დაინტერესებულ პირებთან“, — აცხადებენ ჩინეთის რკინიგზის 23 ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალში.

„ᲛᲔ ᲛᲝᲕᲘᲗᲮᲝᲕ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ!“

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა მინისტრი დამპირდა, რომ სიტუაციაში გაერკვევა, — ამის შესახებ თემქაზე მოკლული 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მამამ, მამუკა ნაცვლიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, მან მისი შვილის მკვლელობაში ბრალდებულის ლადო გრიგალაშვილის მამის სამსახურიდან გათავისუფლება მოითხოვა.

„ლადო გრიგალაშვილის მამა დღესაც მუშაობს სამართალდამცავ უწყებაში. ის მუშაობს მეტროში პოლიციელად და მათ ევალებათ კონტროლი, ხომ არ აქვს მოქალაქეს უკანონო ნივთი და თუ დანა გაქვს, დაგაჯარიმებენ დანის ტარების გამო. მას არ აქვს მორალური უფლება, ვინმე დააჯარიმოს დანის ტარების გამო, რადგან მისმა შვილმა 25- სანტიმეტრიანი დანა გამოიყენა. მე ვითხოვ მის სამსახურიდან გათავისუფლებას. მინისტრმა გულდასმით მომისმინა და შემპირდა, რომ სიტუაციაში გაერკვევა. მჯერა, რომ საჩქაროდ გაერკვევა სიტუაციაში“, — განაცხადა მამუკა ნაცვლიშვილმა.

◎ ჩოგბურთი

გერმანელს ვერ გასცდა

26 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა, რომელმაც წინა კვირას ჩინეთის ღია პირველობა მოიგო და რეიტინგში 23-ე საფეხურზე აღზევდა, მიმდინარე კვირას შანხაის მასტერსზე (საპრიზო ფონდი 9 219 970 დოლარი) ცდიდა ძალებს. პირველ წრეში მან კანადელ დენის შაპოვალოვს 6:2, 6:2 სძლია, გუშინ კი მე-4 ნომრად განთესილ გერმანელ ალექსანდრ ზვერევთან (რეიტინგით მე-5) დამარცხდა — 5:7, 4:6. მეტოქეები პირველად 2015 წელს მარსელის ტურნირის კვალიფიკაციაში შეხვდნენ და მაშინაც გერმანელმა მიაღწია წარმატებას — 7:6 (7:5), 6:3.

საგულისხმოა, რომ წლეულს ნიკოლოზ ბასილაშვილმა უკვე 1.96 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიმუშავა, ამ მაჩვენებლით იგი მხოლოდ 11 ჩოგბურთელს ჩამორჩა: ნოვაკ ჯოკოვიჩს (9.36 მილიონი დოლარი), რაფაელ ნადალს (8.66), როჯერ ფედერერი (5.93), ხუან მარტინ დელ პოტროს (5.91), ალექსანდრ ზვერევს (4.71), მარინ ჩილიჩს (4.14), დომინიკ ტიმს (3.8), კევინ ანდერსონს (3.57), ჯონ იზნერს (3.39), კეი ნიშიკორია (2.84), ბორნა ჩორიჩს (1.97). ქართველმა ჩოგბურთელმა კარიერის განმავლობაში სულ 3,370,578 დოლარი გამოიმუშავა.

თბილისელი მარიამ ბოლქვაძე რამდენიმე კვირაა, პორტუგალიურ ობიდოშში იმყოფება და იქაურ 25.000-იან ტურნირებში მიღწეული შედეგებით განახლებულ რეიტინგში, როგორც ვწერდით, ერთეულებში 43, ხოლო წყვილებში 116 საფეხურით დაწინაურდა. ქართველი ჩოგბურთელი ორშაბათიდან ობიდოშის ახალ 25.000-იან ტურნირში ჩაება. წყვილებში ხორვატ ანა ვრლიჩთან ერთად უკვე ნახევარფინალს უწია: ქართულ-ხორვატულმა დუეტმა სტარტზე მაი ნიკოლ ეკლუნდსა (ფინეთი) და კატარინა ჰერინგს (გერმანია) სძლია 7:5, 6:3. მეოთხედფინალში ბოლქვაძე და ვრლიჩი მესამე ნომრად განთესილ ნატალია კოსტიჩსა (სერბეთი) და აკიკო ომაეს (იაპონია) უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მეტოქეთა დუეტი კორტზე სათამაშოდ არ გამოცხადდა, ამიტომ ჩვენებური პარტნიორთან ერთად ნახევარფინალში უბრძოლველად გავიდა.

ერთეულებში ბოლქვაძემ პირველი ორთაბრძოლა გამართა და კვალიფიკაციიდან აღზევებული რუსი ეკატერინა შალიმოვა საათსა და 14 წუთში ჩამოიშორა გზიდან — 6:4, 6:1. მეორე წრეში რუმინელ ელენა გაბრიელა რუსეს შეხვდება, იტალიურ სანტა მარგერიტა დი პულაში ჩოგბურთელ ქალთა 25-ათასიანი ტურნირში თამაშობს სოფიო შაფათავა. წყვილებში იგი ამინა ანშბასთან (რუსეთი) ერთად მესამე ნომრადაა განთესილი.

გივი გაგუა

◎ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

ᲝᲠᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ ᲐᲘᲠᲔᲡᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ მსოფლიოს ახალგაზრდობის მესამე ოლიმპიური თამაშები, რომელშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. ასპარეზობის მესამე დღეს ჩვენებმა ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ძიუდოისტთა ტურნირში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან ახლოს იყო ილია სულამანიძე. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭაბუკთა შორის ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა ქართველმა ფალავანმა ზედიზედ სძლია სლოვენ როკ პოგორევცის, არგენტინელ ალეხო ბურგოსისა და თურქ ომერ აიდინს. გადამწყვეტი პაექრობა კი ჭაბუკებს შორის აზიის შარშანდელ ჩემპიონთან — ყაზახ ბეკარის სადუაკასთან ვაზარით დათმო და მეორე ადგილი დაიკავა.

ძალოსანთა ტურნირში მონაწილეობდა 17-წლამდელებში ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი არჩილ მალაყმაძე (69 კგ), რომელმაც 134 კილო აიტაცა, 154 კილო აკრა და ორჭიდში 288 კილოგრამით ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ტყვიის მსროლელი ნინო ხუციბერიძე კი მესამე ადგილს დასჯერდა.

საქართველოს 3X3 კალათბურთის ნაკრებმა (ლუკა მაზიაშვილი, ლაშა მიქელაძე, ზურაბ ჟღენტი და ოთარ პერტაია) მეორე მატჩში იორდანიას დამაჯერებლად მოუგეს. პირველი პაექრობა სლოვენიასთან უნდა გაემართათ, მაგრამ, კულუარული ინფორმაციით, შეჯიბრების ადგილზე მისვლა დააგვიანდათ და წაგება ჩაეთვალათ.

ლექსო ციცაძე

◎ ᲫᲘᲣᲓᲝ

ᲐᲑᲣ ᲓᲐᲑᲘᲡᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲡᲚᲔᲛᲘᲡᲗᲘᲡ

27-29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ აბუ დაბი (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ძიუდოისტთა ტრადიციულ დიდ სლემს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში 65 ქვეყნის 426 წარმომადგენელი ჩაებმება. უკვე ცნობილია, რომ ამ ტურნირზე საქართველოს სპორტის ღირსებას 12 ფალავანი დაიცავს. მათ შორის არ იქნებიან მსოფლიოს ჩემპიონი გურამ თუშიშვილი (+100) და ბექა ღვინიაშვილი (90). სამაგიეროდ, ნაკრებს დაუბრუნდა ავთანდილ ჭრიკიშვილი (90 კგ).

აბუ დაბიში იჭიდავებენ: ამირან პაპინაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი (ორივე-60 კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66), ფრიდონ გიგანი, ლაშა შავდათუაშვილი (ორივე-73), ზებედა რეხვიაშვილი (81), უშანგი მარგიანი, ავთანდილ ჭრიკიშვილი (ორივე-90), ვარლამ ლიპარტელიანი, ლაშა ტაველური (ორივე-100), ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი (ორივე — მძიმე წონა).

თამაზ პატარიძე

◎ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲑᲣᲠᲗᲘᲡ“ ᲛᲐᲥᲘᲔᲑᲔᲚᲜᲘ

„ᲤᲠᲐᲜᲡ ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲛᲐ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებსაც პრეტენზია ექნებათ, „ოქროს ბურთი“ მოიპოვონ. შეგახსენებთ, რომ ჯილდოს ბოლო მფლობელი კრიშტიანო რონალდოა. „ფრანს ფუტბოლმა„ საბოლოოდ არჩევანი ამ 30 მოთამაშეზე შეაჩერა:

1.სერხიო აგუერო (სიტი), 2. ალისონ ბეკერი (ლივერპული), 3. გარეთ ბეილი (რეალი), 4. ქარიმ ბენზემა (რეალი), 5. ედინსონ კავანი (პსჟ), 6. ტიბო კურტუა (რეალი), 7. კრიშტიანო რონალდო (იუვენტუსი), 8. კევინ დე ბრუინი (სიტი), 9. რობერტო ფირმინო (ლივერპული), 10. დიეგო გოდინი (ატლეტიკო), 11. ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო), 12. ედენ აზარი (ჩელსი), 13. ისკო (რეალი), 14. ჰარი კეინი (ტოტენჰემი), 15. ნგოლო კანტე (ჩელსი), 16. ლიონელ მესი (ბარსელონა), 17. ლუკა მოდრიჩი (რეალი), 18. ნეიმარი (პსჟ), 19. იან ობლაკი (ატლეტიკო), 20. პოლ პოგბა (მანჩესტერი), 21. მარსელო (რეალი), 22. სადიო მანე (ლივერპული), 23. კილიან მბაპე (პსჟ), 24. უგო ლორისი (პსჟ), 25. მარიო მანჯუკიჩი (იუვენტუსი), 26. მოჰამედ სალაჰი (ლივერპული), 27. ლუის სუარესი (ლივერპული), 28. რაფაელ ვარანი (რეალი), 29. ივან რაკიტიჩი (ბარსელონა), 30. სერხიო რამოსი (რეალი).

ნანა გელაძე

◎ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲔᲢ ᲯᲔᲜᲘᲜᲒᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗᲘ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ლეგიონერმა მეტ ჯენინგმა, ესპანური „ბასკონიას“ და საქართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრმა, რომელმაც გასული ზაფხული ჩვენს ეროვნულ გუნდში გაატარა, სიამოვნებით გაიხსენა ეს პერიოდი. ევროლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე მისი ბლოგი გამოქვეყნდა. აი, ამონარიდი ჯენინგის მონათხრობიდან:

„ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო ზაფხული იყო. ივლისიდან მე და ჩემი მეუღლე პირველ შვილს ველოდით და 3 აგვისტოს გოგონა გაგვიჩნდა, რომელსაც მია დავარქვით.

ამ ამბიდან ორიოდ კვირაში საწვრთნელი პროცესი დაიწყო და გარკვეული პერიოდი ვიტორიაში ვიყავი, შემდეგ თბილისში ჩავედი და საქართველოს ნაკრების რიგებში განვაგრძე მზადება. იქ ნამდვილად კარგი დრო გავატარე. ჩინებული ბიჭები არიან.

ჩვენ ისრაელში მოვიგეთ, საბერძნეთთან კი დასანანი მარცხი განვიცადეთ. საერთო ჯამში, გასულ ზაფხულს ყველაფერი კარგად წარიმართა, ამდენად, ახალ სეზონს მომზადებული ვხვდები“.

ნია თეგიძე

◎ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲓᲐᲜ

„ᲞᲐᲛᲞᲘᲢᲐ“ ᲡᲐᲢᲠᲤᲝᲡ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

ᲗᲐᲕᲜᲔᲑᲐ არგენტინელი მოდელი ანაკაროლინ აანდოჰანი, ანუ „პამპიტა“ შესაძლოა ყოფილ გულისსწორს — არგენტინელ ფეხბურთელს მაქსი როდრიგესს შეურიგდეს. ამის შესახებ ლამაზმანმა ბულვარულ მედიასთან საუბარში თავად განაცხადა.

წელიწადზე მეტი გავიდა, რაც წყვილი დაშორდა ერთმანეთს. მერე „პამპიტა„ არგენტინელ მსახიობ როფოლ ესნაიდერს ჰყვარობდა. ცოტა ხნის წინ არაოფიციალური სტატუსით იგი და მაქსი არგენტინული საზოგადოების წინაშე კვლავ ერთად გამოჩნდნენ.

სანთელი

შეუვსებელი დანაკლისი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესურა, ადმინისტრაცია, სტუდენტები, მკვლევარები და რეზიდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი ყიფიანი** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი, „ავერსის კლინიკის“ სტომატოლოგიური სამსახურის უფროსი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, სტომატოლოგთა არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო თუ პროფესიული ფორუმის ორგანიზატორი და მონაწილე.

გიორგი (გოგი) ყიფიანის პროფესიული, აკადემიური და, შეიძლება ითქვას, პირადი ბიოგრაფია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანული ნაწილია. იგი 1961 წელს დაიბადა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პატრიარქის, მისი სინდისის და ერთ-ერთი საპატიო სახის, პროფესორ ელგუჯა ყიფიანის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად — უნივერსიტეტის) დამთავრებისთანავე, 1984 წლიდან, გიორგი ყიფიანმა სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის კლინიკურ ორდინატურაში, შემდგომ — ასპირანტურაში და 1989 წელს, სრულიად ახალგაზრდამ — 28 წლის ასაკში, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ამის შემდგომ თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გიორგი ყიფიანის საქმიანობა და პროფესიული ზრდა განუყრელად იყო დაკავშირებული მის *Alma Mater*-თან. იგი ბრძანდებოდა თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტი (1990-1995), ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1995-2004), ამავე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი (2005-2008). 2003 წელს გიორგი ყიფიანი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა. 2001-2006 წწ. იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) ბავშვთა №1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის დირექტორი იყო; 2004-2005 წწ. კი საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ძირეული და არცთუ უმტკივნეულო გარდაქმნების პერიოდში, ბატონი გიორგი თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პოზიციას იკავებდა. ყოველთვის და ყველგან იგი წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს სასწავლო, კვლევით, საექიმო და ადმინისტრაციულ საქმიანობას, იძლეოდა რა ადამიანური, პროფესიული თუ აკადემიური ურთიერთობის მაგალითს, როგორც ეს მისი წარმომავლობის ადამიანს ეგების.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ 1998 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით გიორგი ყიფიანს უნივერსიტეტის საუკეთესო პედაგოგის საპატიო წოდება მიენიჭა. იგი სტუდენტებისა და კოლეგების მიერ შეირჩა და დასახელდა, როგორც რჩეული რჩეულთა შორის. საუკეთესო პედაგოგად კურთხევა არა ფორმალობა, არამედ პროფესიული და პიროვნული გამორჩეულობის გამოვლინებაა. ასეთ პატივს კი საზოგადოება დაუმსახურებლად არასდროს არავის მიაგებს. თუმცა, ეს არ იყო გიორგი ყიფიანის პირველი აღიარება — ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, 1979-1984 წლებში, იგი ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის სტიპენდიატი იყო. გიორგი ყიფიანი, სტუდენტიც და ახალგაზრდა პედაგოგიც, მასწავლებლების, თანატოლების, კოლეგებისა თუ სტუდენტების რჩეულის სახით შევიდა მისი მშობლიური უნივერსიტეტის ოქროს ფონდში.

2008 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე გიორგი ყიფიანის პროფესიული საქმიანობა „ავერსის კლინიკის“ სტომატოლოგიურ სამსახურს დაუკავშირდა. აქ იგი არა მარტო მაღალპროფესიულ აქტივობას ეწეოდა, არამედ ორგანიზაციულად წარმართავდა და ხელმძღვანელობდა ამ რთული და საპასუხისმგებლო სეგმენტის მუშაობას. და იგი აქაც იყო მოწოდების სიმაღლეზე, პატივისმცემელი კოლეგების, მადლიერი პაციენტებისა და ახალგაზრდების გარემოცვაში, რომელთაც უსიტყვოდ და გულუხვად უწილადებდა ცოდნას, გამოცდილებას და მისთვის აგრერიგად დამახასიათებელ ადამიანურ სიკეთეს. „ავერსის კლინიკაში“ უკიდურესი დაკავებულობის მიუხედავად, მას არასდროს გაუწყვეტია კავშირი სამედიცინო უნივერსიტეტთან, იყო მისი მეგობარი და გულშემატკივარი, მონაწილეობდა საკონსულტაციო და საექსპერტო აქტივობებში, ყოველთვის იყო იქ და იმ დროს, როდესაც ეს მის დარგს, პროფესიას, მასწავლებლებს, კოლეგებსა და სტუდენტებს სჭირდებოდა.

ძალიან სამწუხარო და უსამართლოა, რომ ბატონი გიორგი ყიფიანი ასე ადრე წავიდა ჩვენგან — ის 60 წლისაც არ იყო... წავიდა პროფესიული აკმეს ხანაში და შეძრწუნებული დატოვა ოჯახი, მეგობრები, კოლეგები.

პროფესორ გიორგი ყიფიანის კეთილშობილება, სიდინჯე, კოლეგიალობა, კეთილსინდისიერება, აკადემიზმი, მაღალი პროფესიული და ორგანიზატორული თვისებები მუდამ მისაბაძი იქნება თანატოლებისა და მომავალი თაობებისათვის. გოგი ყიფიანი სამუდამოდ დარჩება კეთილ და ნათელ მოგონებად მისი მშობლიური თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითოეული წევრის მეხსიერებაში. მისი გარდაცვალება შეუვსებელი დანაკლისია ჩვენთვის.

უდიდესი გულისტკივილით გემშვიდობებით, ჩვენო გოგი !!!!!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ქ. თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის №1 სტომატოლოგიური კლინიკის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კლინიკის ყოფილი დირექტორი

გიორგი (გოგი) ყიფიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ალეკო ასლანიშვილი, ზინა და ლუსია მჭედლურები თანაუგრძნობენ ქეთევან დავლაძეს მეუღლის

გოგი ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 299-02-10; 599 79-76-79; 568 82-09-84

2018 წლის მაისიდან დღემდე საქართველოში 33 ადამიანი დაიხრჩო

არასამთავრობო ორგანიზაციებმა 9 ოქტომბერს რუსთავის გარეუბანში, ხელოვნურ და დაჭაობებულ ტბასთან, სადაც ბოლო წლებში სამი ადამიანი დაიხრჩო, მოაწყვეს აქცია „იცურე მშვიდად!“

„საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, თუმცა ძალიან ბევრი სახიფათო ადგილია. ჩვენი კამპანია გასცდა თბილისის საზღვრებს. გადავინაცვლეთ რეგიონებში. ვიყავით ბათუმში. ახლა აქ, რუსთავში, ვართ, ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ადგილზე, სადაც ადამიანები იხრჩობიან იმის გამო, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ მიმართავს ქმედით ღონისძიებებს“, — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ აქციის მონაწილე ალეკო ცქიტიშვილმა, ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორმა.

კამპანია „იცურე მშვიდად“

მიმდინარე წლის 16 ივლისიდან დაიწყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ ანა დოლიძის, ადამიანის უფლებათა ცენტრის, „პროგრესის ცენტრისა“ და CENN-ის ინიციატივით, რომელსაც შეუერთდნენ სხვა ორგანიზაციებიც. კამპანიის მიზანია ხელისუფლების პასუხისმგებლობის გაზრდა, ასევე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება საქართველოს წყლის ობიექტებთან მიმართებით, სადაც მომატებულია ადამიანების დახრჩობის რისკი, ადამიანების დახრჩობისა საქართველოში.

„აქ (ხელოვნურ ტბაში) გასულ წელს 8 წლის ბავშვი დაიხრჩო — წყალმცენარეებში გაიხლართა, ძმამ ვერ შეძლო მისი დახმარება და ამოყვანა. ამ ადგილას, სადაც აქციას ვმართავთ, დადგმულია ბანაობის ამკრძალველი ნიშანი, მაგრამ აქედან ორ მეტრში არის მიცვალებულის პატივსაცემად აღმართული ჯვარი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებები, ბანერების აღმართვა საკმარისი არ არის. აუცილებელია ბარიერების მოწყობა ასეთ საშიშ ადგილებში, რათა ბავშვებისთვის, ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის არ იყოს ტბა შეღწევადი“, — განაცხადა ალეკო ცქიტიშვილმა.

„როგორც ჩანს, ეს ცხვრები წყალსაცავს აბინძურებენ იმგვარად, რომ სანიტარიული თვალსაზრისითაც არ არის მიზანშეწონილი მასში ბანაობა, დასახურია ეს სიკვდილის ზონა“, — დასძინა ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორმა.

ამასთან, ალეკო ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ ხელისუფალთ ევალებათ საშიში ობიექტების დაცვა. თუკი შესაძლებელია, უნდა გაიწმინდოს წყალსაცავი, დაიტვირთოს ფუნქციით, თუნდაც სარეკრეაციო ზონის მინიჭებით.

აქციის კიდევ ერთმა მონაწილემ, არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესის ცენტრის“ კოორდინატორმა ლაშა ანაკიძემ, რადიო „თავისუფლებას“ განუმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი ადგილობრივ ხელისუფლებებს ავალდებულებს, შექმნან უსაფრთხო გარემო, რაც გულისხმობს საშიში ზონების დიდი ჯებირებით შემოღობვას და დიდი ზომის გამაფრთხილებელი აბრების დადგმას. გარდა ამისა, ლაშა ანაკიძის თქმით, „ტბებისა და წყლების შესახებ“ კანონის თანახმად, ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ, რომელი ზონაა ბანაობისთვის უსაფრთხო ან საშიში.

„რუსთავის მუნიციპალიტეტმა ამ კონკრეტულ ადგილას უნდა უზრუნველყოს დიდი ზომის ჯებირების განთავსება, რათა მოსახლეობას საშუალება არ ჰქონდეს შიგნით შეღწევის“, — თქვა „პროგრესის ცენტრის“ კოორდინატორმა.

ლაშა ანაკიძის ინფორმაციით, 2005 წლიდან 2007 წლამდე საქართველოს წყლებში 345 ადამიანი დაიხრჩო, ხოლო 2018 წლის მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით — 33 ადამიანი.

დავით მჭედლიძე

ბავშვთა სამყაროს დაზარალებულები თავის დაწვით იმუქრებიან

აქციის მონაწილეებმა მთავარ პროკურატურასთან გამაფრთხილებელი აქცია გამართეს და შალვა თადუმაძეს ვადა ერთი დღით მისცეს.

ისინი მთავარ პროკურორთან შეხვედრას, ზარალის ანაზღაურებას და ბავშვთა სამყაროს ხელმძღვანელობის დასჯას მოითხოვენ, რომლებმაც მათი განცხადებით ხანძარი შენობაში განზრახ, ხელისუფლებასთან შეთანხმებით გააჩინეს.

თბილისივით მიმზიდველი ევროპის არც ერთი ქალაქი არ არის!..

მსოფლიოში ცნობილი სამოგზაურო ჟურნალი Conde Nast Traveler თბილისის შესახებ სტატიას აქვეყნებს. გამოცემის ჟურნალისტმა ტარა იზაბელა ბარტონმა საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმოგზაურა და მკითხველს საქართველოს შესახებ შთაბეჭდილებები გაუზიარა.

„თბილისივით მიმზიდველი დღეს ევროპის არცერთი ქალაქი არ არის. აზიის საზღვარზე მდებარე ეს ქალაქი გამორჩეულია წარსულით, მრავალფეროვნებით და უსაზღვრო ენერგიით“, — წერს ტარა იზაბელა ბარტონი.

სტატიაში აღწერილია თბილისის ღირსშესანიშნაობები, სასტუმროები, კვების ობიექტები, სავაჭრო და გასართობი ცენტრები და ქართული კერძები. ჟურნალისტი აღწერს აბანოთუბანს, გოგირდის ცხელ წყლებს, თბილისის დაარსების ლეგენდას და ა.შ.

Condt Nast Traveler მთელ მსოფლიოში მილიონობით მკითხველი ჰყავს. გამოცემას Facebook-ზე 2 მილიონამდე, ხოლო Twitter-ზე 3,3 მილიონი მიმდევარი ჰყავს.

დედაქალაქში კონტროლის 6 სექცია ამოქმედდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საგზაო უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თბილისში, 3 ლოკაციაზე, საავტომობილო სიჩქარის კონტროლის 6 სექცია ამოქმედდება, კერძოდ:

1. კახეთის გზატკეცილზე, „ისთ ფოინთიდან“ მ. გრიგორაშვილის ქუჩამდე, (ნებადართული სიჩქარეა 80 კმ/სთ);

2. მ.გრიგორაშვილის ქუჩიდან „ისთ ფოინთამდე“ (ნებადართული სიჩქარეა 80 კმ/სთ);

3. ევროპის ქუჩიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე (ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ);

4. თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან — ევროპის ქუჩის დასასრულამდე, (ნებადართული სიჩქარეა 60 კმ/სთ);

5. ნ.ხუდადოვის ქუჩის №99-დან — ნ. ხუდადოვის ქუჩის ბოლომდე, მოედნამდე (ნებადართული სიჩქარეა 40 კმ/სთ);

6. ნ.ხუდადოვის ქუჩის დასაწყისიდან, მოედნიდან — ნ. ხუდადოვის ქუჩის №-99-მდე (ნებადართული სიჩქარეა 40 კმ/სთ).

სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემით, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკვე 271 კილომეტრი საავტომობილო გზა კონტროლდება. დედაქალაქის მასშტაბით კი, ჯამურად, სიჩქარის მზომი 18 სექცია ფუნქციონირებს.

რუკაზე მაინც ნუ დავკარგავთ ტერიტორიებს!

საქართველოს რუკის დამზადება, რომელზეც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეული იქნება, შესაძლოა, სისხლის სამართლებრივად დასჯადი გახდეს.

აღნიშნული ინიციატივა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს ეკუთვნის.

ჩრდილოეთ ოსეთის ფედერაციული
აფხაზეთი
ჩრდ.-ღრმახევი - ქვემო-სვანეთი
სამეგრელო - ზემო-სვანეთი
მცხეთა-მთიანეთი
მარი ხევსურეთი
იმერეთი
ზემო ქართლი
ბაკურიანი
ბორჯომი
ახალციხე
ქვემო-ქართლი
ალაზანი
ბაკურიანი
ბორჯომი
ქვემო-ქართლი
ბაკურიანი
ბორჯომი
ალაზანი
ბაკურიანი
ბორჯომი
ალაზანი
ბაკურიანი
ბორჯომი
ალაზან